კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი

ნოდარ თხელიძე

საინვესტიციო გარემოს და საერთაშორისო რეიტინგების გავლენა საერთაშორისო ბიზნესის საქმიანობაზე საქართველოში

საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: პროფესორი თეა კასრაძე

თბილისი 2020

ანოტაცია

საინვესტიციო გარემოს სრულყოფა და მისი მიმზიდველობა უზრუნველყოფს სამომავლოდ ქვეყნის ეკონომიკურ სიძლიერეს, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს და მოიზიდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციები.

ინვესტიციების როლი ქვეყნისთვის უმუნიშვნელოვანესია, დღევანდელი ეკონომიკა მის გარეშე ფაქტიურად წარმოუდგენელია, მათზეა დამოკიდებული, იმ სასურველი შედეგების მიღწევა, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს უწყვეტ ზრდა-განვითარებას. მოზიდული ფულადი სახსრების მოცულობა განაპირობებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას და მის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

სამაგისტრო ნაშრომი ეძღვნება საინვესტიციო გარემოს განხილვას, რომელის სწორი ფორმულირება უზრუნველყოფს საერთაშორისო რეიტინგებში სასურველი პოზიციების დაკავებას, რაც თავის მხრივ საშუალებას იძლევა განვითარდეს საერთასორისო ბიზნესი, ხოლო მასში მონაწილე ქვეყნებს ეძლევათ შესაძლებლობა, მოიზიდონ ინვესტორები და გახდნენ კონკურენტუნარიანები მსოფლიო ასპარეზზე.

ნაშრომი შედგება, შესავლისგან, ძირითადი ნაწილის, მასში გაერთიანებული სამი თავისა და დასკვნისაგან.

პირველ თავში განხილულია ინვესტიციების როლი მათზე მოქმედი ძირითადი დეტერმინატები, მოსაზიდად გამოყენებული პოლიტიკა და საერთაშორისო გადაადგილება.

მეორე ნაწილში წარმოდგენილია, საქართველოს საინვესტიციო პოლიტიკა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა-ხელშეწყობის პროგრამები და საქართველოს საინვესტიციო გარემო.

მესამე ნაწილში განხილულია, საერთაშორისო რეიტინგები და მათი გავლენა საერთაშოეისო ბიზნსის გავითარებაზე საქართველოში.

დასკვნაში შეჯამებული და გაანალიზებულია ნაშრომში განხილული მნიშვნელოვანი საკითხები.

Nodar Tkhelidze

Impact of Investment Environment and International Ratings on International Business Activities in Georgia

Annotation

To improve the investment environment and its attractiveness will ensure the economic strength of the country in the future , which should promote and attract direct foreign investments.

The role of investments is essential for the country. Today's economy can not exist without it. It is up to them to achieve the desired results that will stimulate the continuous growth and development of the country.

The amount of money that is attracted properly will determine the country's competitiveness and its social-economic development.

The thesis for a master's degree is about the discussion of the investment environment and its correct formulation ensures to hold desired position in the international rankings which in turn allows the development of international business, that includes the world economy, and the participating countries have the opportunity to attract investors and become competitive in the global arena.

The work consists of an introduction, a main section, three chapters, and a conclusion.

In the first chapter you can find the discussion about the role of investments and the key determinants which affect on them, then main policy used to attract investments and their international movement.

The second part of the discussion covers the investment policy of Georgia, also foreign direct investment attraction promotion programs, and current investment environment of Georgia and its economic situation.

As for the third part, here are discussed international ratings and their impact on the development of international business in Georgia.

The concluding part summarizes and analyzes the important issues discussed in the paper.

შესავალი

თემის აქტუალურია, რადგან ინვესტიციების და ინვესტორების მნიშვნელობა მსოფლიოს მსშტაბით უპრეცედენტოდ მნიშვნელოვანია და შეიძლება ითქვას, ის ქვეყნის კონკურენტუნარიანობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია.

ქვეყნის უწყვეტი ზრდისა და სტაბილურობისთვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს ინვესტიციების მოზიდვა და მისი სწორად მიმართვა ეკონომიკაში, რაც უფრო მობილური და ღიაა პროცესებში ქვეყანა, მით მეტი პოტენციალი აქვს, მიაღწიოს სასურველ შედეგს და იყოს კონკურენტუნარიანი. თუ ინვესტიციების განთავსება მოხდება დროულად და თანმიმდევრულად მის მიერ შექმნილი დოვლათი თავის მხრივ კიდევ დამატებით აჯანსაღებს და აძლიერებს, როგორც მომიჯნავე სფეროებს, ასევე მთლიანად ეკონომიკას, წარმოება გადადის სულ სხვა დონეზე. იზრდება სამომხმარებლო ბაზარი, ხდება ახალი ტექნოლოგიების შემუშავება, მცირდება დანახარჯები, იქმნება დამატებითი სამუშაო ადგილები, რაც თავის მხრივ დადებითად აისახება ცხოვრების დონეზე და ეკონომიკურ ზრდაზე.

სწორედ ინვესტიციების მოზიდვისკენაა მიმართული საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც შინაარსიდან გამომდინარე, ხშირად მიმზიდველს ხდის გარემოს, რაც თავის მხრივ აუცილებლად აისახება მსოფლიო რეიტინგებში და სამომვლოდ ხელს შეუწყობს საერაშორისო ბიზნესის განვითარებას.

ნაშრომის მიზანია საქართველოს მაგალითზე, ვაჩვენოთ რამდენად მნიშვნელოვანია მიმზიდველი საინვესტიციო გარემო და ქვეყნის ადგილი საერთაშორისო რეიტინგებში, როგორც საერთაშორისო ბიზნესის, ისე მთლიანობაში ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში, მოგეხსენებათ ჩვენი ქვეყანა არ გამორჩევა ბუნბრივი წიაღისეულის სიმდიდრით, რომლის ხარჯზეც შეიძლება შეძლოს

გარკვეული სახის პოზიციონირება მსოფლიო სივრცეში, ამიტომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ინვესტიციების მოძიება და მოზიდვა, რომლის ხარჯზეც შეიძლება მნიშვნელოვანი ბიზნეს პროექტების განხორციელება, რაც გაზრდის ქვეყნის პოტენციალს და შესაძლებლობებს.

მოცემული მიზნიდან გამომდინარე, დასმული ამოცანების შინაარსი მდგომარეობს შემდეგში:

- ინვესტიციური ნაკადების გადაადგილება
- ინვესტიციური ნაკადების გადაადგილებაზე მოქმედი დეტერმინანტები
- საქართველოში მოქმედი საინვესტიციო პოლიტიკა
- განვიხილოთ და შევისწავლოთ უცხოური ინვესტიციების მოზიდვა სტიმულირების ხელშეწყობის პოლიტიკა
- განვიხილოთ საქართველო და საერთაშორისო ბიზნესი მისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით
- მიმოვიხილოთ საქართველო და საერთაშორისო რეიტინგები

კვლევის ობიექტად გვევლინება საინვესტიციო გარემო და საერთაშორისო რეიტინგები, რომელთა გავლენაც ძალიან დიდია ინვესტიციების მოზიდვაზე, სწორედ ისინი არის პირველი ინფორმაციის წყარო, რომლითაც ინვესტორს გარკვეული სახის შეხედულება უყალიბდება და ერთგვარ მონახაზი, გადაწყვეტილების მიღებამდე ღირს თუ არა გარისკვა და ინვესტიციის განთავსება.

საკვლევ საგნად გვევლინება საერთაშორისო ბიზნეს საქმიანობა საქართველოში, რომელიც უკვე გლობალურ პროცესად ჩამოყალიბდა და თითქმის მთელი მსოფლიო მოიცვა, განსაკუთრებით ისეთი ქვეყნები, სადაც ბიზნესის კეთება მარტივია, დაბალია გადასახადები, დაცულია საკუთების უფლება, სტაბილურია პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესები და მარტივია საკანონმდებლო ბაზა, რომლის დაცვაც მოუწევს საქმიანობის დაწყების შემთხვევაში.

რაც შეეხება კვლევის მეთოდებს, გამოყენებულია: სტატისტიკური მონაცემების ანალიზი, სხვადასხვა მეცნიერ-მკვლევართა სამეცნიერო ნაშრომები და

პუბლიკაციები, რამაც საბოლოო ჯამში მოცემულობა უფრო მკაფიო და ხილული გახადა.

მოცემულ სამაგისტრო ნაშრომში წარმოდგენილი ინფორმაცია მოპოვებულია სხვადასხვა წყაროდან. გამოვიყენეთ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ გამოქვეყნებული საინფორმაციო ცნობარები, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს, საქართველოს ეროვნული ბანკისა და საქართველოს პარლამენტის აპარატის კვლევითი დეპარტამენტის პუბლიკაციები, სტატისტიკური მონაცემები და საინფორმაციო ცნობარები, აგრეთვე სხვადასხვა ვებ-გვერდით მოპოვებული მასალები.

სარჩევი

შესავალი გვ. 5

ინვესტიციები და სახელმწიფო საინვეტიციო პოლიტიკა

თავი I

1.1 ინვესტიციების ნაკადებზე მოქმედი დეტერმინანტები გვ.9

1.2 ინვესტიციების მოსაზიდად გამოყენებული პოლიტიკა გვ.12

1.3 ინვესტიციბის საერთაშორისო გადაადგილება გვ.17

საქართველოს საინვესტიცო გარემო და საინვესტიციო პოლიტიკა

თავი II

2.1 საქართელოს საინვესტიციო პოლიტიკა გვ.21

2.2 უცხოური ინვესტიციების მოზიდვა სტიმულირების ხელშეწყობის პოლ - იტიკა გვ.23

2.3 საქართველოს საინვესტიციო გარემო და ეკონომიკური მდგომარეობა გვ.27

2.4 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ქვეყნის რეგიონში მოზიდვა სტიმულირების სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა გვ.30

საერთაშორისო რეიტინგების გავლენა საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაზე საქართველოში

თავი III

3.1 საერთაშორისო ბიზნესის გარემო

გვ.38

3.2 საქართველო და საერთაშორისო ბიზნესი გვ.43

3.3 რეიტინგების გავლენა საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაზე

გვ.47

3.4 საქართველო და საერთაშორისო რეიტინგები

გვ.50

დასკვნა

გვ.56

გამოყენებული ლიტერატურა გვ.59

თავი 1. ინვესტიციები და სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა

1.1 ინვესტიციების ნაკადებზე მოქმედი დეტერმინანტები

ინვეტრიციების ნაკადებზე მოქმედ უამრამ ფაქტორთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია სახელმწიფო სინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა ტიპის დეტერმინანტზე, რომელბიც თავის მხრივ შეიძლება მივიჩნიოთ, როგორც პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ძირითადი მასტიმულირებელ ძალად. სახელმწიფოს მიერ შემუშავებული კონკრეტული პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს საზღვარგარეთიდან ინვესტიციების ნაკადების რეგულაციებს, დამოკიდებულია ხსენებულ დეტერმინანტებზე. არსებობს

დეტერმინანტების სამი ძირითადი ტიპი: ზოგადი პოლიტიკის მიმოხილვა, ბიზნესის გამარტივება და ეკონომიკური დეტერმინანტები (Nunnenkamp, 2002).

ზოგადი პოლიტიკის მიმოხილვა

ინვესტორები ვიდრე გადაწყვეტილებას მიიღებენ საინვსტიციო საქმიანობის დაწყებამდე, პირველ რიგში იწყებენ ქვეყნის ზოგად პოლიტიკის მიმოხილვას. ისინის დიდ ყურადღებას აქცევენ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტაბილურობას, ამიტომ არასტაბილურობა და პოლიტიკური კომფლიქტები აფერხებს მათ შემოდინებას, რადგან ისინი მსგავს პროცესებში ხედავენ საფრთხეს, რაც ხელს უშლით მოცემულ სიტუაციაში წარმატებას მიაღწიონ, შესაბამისად უარს ამბობენ მსგავსი ტიპის პროექტებში მონაწილეობაზე.

უახლოეს წარსულში ჩვენს ქვეყანას მრავლად აქვს მსგავსი მაგალითები, როდესაც 90 - იან წლებში, ქვეყანაში განუკითხაობა და კრიმინალი მძვინვარებდა ფაქტობრივად, სახელმწიფო მთლიანად ამოვარდნილი იყო კალაპოტიდან, რაც ერთგვარ უძრაობას ქმნიდა. უცხოური ინვესტიციები კი არა შიდა საფინანსო ბაზარმაც შეწყვიტა ფუნქციონირება, რადგან სრული ქაოსი იყო.

მეორე კომპონენტი, რაც დადებითად ან უარყოფითად აისახება ტრანსნაციონალური კომპანიების გადაწყვეტილებაზე, არის ქვეყნის საინვესტიციო პოლიტიკა, როგორ პოლიტიკას იყენებს უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის სახელმწიფო და რა მიდგომები აქვს. ატარებს ლიბერალურ პოლიტიკას და ხელს უწყობს მათ შემოდინებას თუ პირიქით ამკაცრებს ზომებს მათ სამართავად, ზრდის გდადასახადებს და ა.შ

უცხურ ინვესტიციებზე ყველაზე დადებითად მოქმედი ფაქტორები ესენია, საერთაშორისო შეთანხმებები WTO (Word Trade Organization), NAFTA (North American Free Trade Agreement), GATS (General Agreement On Trade In Serrvices) და ა.შ. ამ შეთანხმებებით ქვეყნები იღებენ ბევრ დადებით ეფექტს ვაჭრობის კუთხით. მაგალითად მცირდება და ზოგიერთ შემთხვევაში უქმდება გადასახადები, ტრანსპორტირების, დაბეგვრის , რაც თავსი მხრივ ქმნის დამატებით ფულს,

რომელიც შეიძლება მიმართულ იქნეს ინვესტიციის სახით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია ინვესტორისთვის და ქმნის დამატებით მოტივაციას სამომავლოდ.

ბიზნესის გამარტივება

ბიზნესის გამარტივებისთვის იყენებენ სხვადასხვა სახის შეზღუდვების გაუქმებას ან შერბილებას, რომლებიც ინვესტორებს საშუალებას აძლევს ნაკლები ფინანსური და დროითი დანაკარგებით შეძლონ საკუთარი საქმის წარმოება. მოგეხსენებათ საკმაოდ რთულია ზედმიწევნიდ ზუსტად იცოდე უცხო ქვეყნის ყველა იურიდიული საკითხები, ხოლო როდესაც ხელოვნური ბარიერების ჩამოშორება ხდება ინვესტორისთვის ეს გარემო კომფორტული ხდება და შესაბამისად უფრო მეტის გაკეთება სურს მას.

გარდა ამისა თანამედროვე პრაქტიკაში აპრობირებულია ინვესტიციების ხელშეემწყობი სააგენტოების (Investment Promotion Agencies) დაარსება. ხშირად ვხდებით ინვესტიციების ხელშემწყობი ღონისძიებების გატარებას მრავალ ქვეყანაში მათ შორის ირლანდიაში, ინდუსტრიული განვითარების საბჭო (Industrial Development Agency) და სინგაპურში ეკონომიკური განვითარების საბჭო (Economic Development Board) ეს კომპანიები სწორედ, რომ მუშაობენ საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაზე და განსაზღვრავენ კოკრეტული ტიპის ინვესტიციას, რომელიც უფრო მისაღები და უკეთესი იქნება მოცემული ეკონომიკური გარემოსთვის.

და ბოლოს, ინვესტიციების ნაკადზე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნის ფისკალური და ეკონომიკური პოლიტიკა. მიმზიდველი ფისკალური და ეკონომიკური პოლიტიკა სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს ბუნებრივი რესურსებით ღარიბი ქვეყნებისათვის. ამ შემთხვევაში სახელმწიფომ ინვესტორი შეიძლება მოიზიდოს დაბალი საგადასახადო განაკვეთების შეთავაზებით, რაც შეამცირებს კორპორაციის დანახარჯებს. ეს დეტერმინანტი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეფექტიანობაზე ორიენტირებული ინვესტორებისათვის.

ეკონომიკური დეტერმინანტები

რესურსებზე ორიენტირებული ინვესტიციებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ნედლეულსა და ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობა. ასეთ შემთხვევაში ინვესტორი განსაკუთრებულ ყურადღებას არ ანიჭებს შრომითი რესურსის კვალიფიკაციას და მისთვის უმთავრესია რესურსებზე ხელმისაწვდომობა. ამის ნათელი მაგალითია საუდის არაბეთი, რომელიც ინვესტორთა ინტერესის საგანია ნავთობზე ხელმისაწვდომობის გამო.

მეორე მხრივ, ინვესტორთათვის შეიძლება მთავარი იყოს იაფი სამუშაო ძალის გამოყენების შესაძლებლობა. ისეთი განვითარებადი ქვეყნები, როგორიცაა ჩინეთი და ინდოეთი, ხსენებულ ფაქტორს იყენებენ ინვესტიციების მოსაზიდად. მრავალ ტრანსნაციონალურ კორპორაციას თავისი წარმოება გადააქვს აღნიშნულ ქვეყნებში. ამით ისინი ამცირებენ წარმოების დანახარჯს და აღწევენ მასშტაბის ეკონომიურობას.

ბაზარზე ორიენტირებული ინვესტიციებისათვის კი მთავარი ეკონომიკური ფაქტორი არის ბაზრის ზომა, განვითარების ტემპები და ქვეყნის რეგიონული ინტეგრაცია.

ხოლო ეფექტიანობაზე ორიენტირებული ინვესტიციებისათვის მთავარი ეკონომიკური ფაქტორი არის ადგილობრივი საზოგადოების განვითარების დონე და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ხარისხი. მაგალითად, იმ შემთხვევაში თუ ქვეყნის განვითარების დონე არის დაბალი, ტრანსნაციონალური კომპანიების მიერ ტექნოლოგიური შესაძლებლობების მაღალი დონის მისაღწევად, საჭიროა დიდი დანახარჯები პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლებისათვის. რაც უფრო დაბალია ქვეყნის განვითარების დონე, მით დიდი ხარჯებია საჭირო ინვესტორის მხრიდან სამუშაო ძალის სათანადო დონეზე მომზადებისთვის. ამ ფაქტიდან გამომდინარე, ქვეყნისათვის მნიშვნელოვანია, რომ შექმნას ხელსაყრელი საგანმანათლებლო პირობები, რათა მიმზიდველი გახდეს პოტენციური ინვესტორებისათვის.

1.2. ინვესტიციების მოსაზიდად გამოყენებული პოლიტიკა

რადგან უკვე ცნოილია პირდაპირი უცხოური ინვესტიციებს, როგორი დიდი როლი უკავიათ სახელმწიფოების განვითარებაში, განვითარებადი ქვეყნები ცდილობენ დანერგონ პრაქტიკაში გამოყენებული საუკეთესო მეთოდები, რათა დიდი რაოდენობით მოიზიდონ ინვესტიციები. ერთ–ერთი საუკეთესო გზა, რომ ქვეყანა გახდეს მიმზიდველი ინვესტორთათვის, არის რეჟიმის ლიბერალიზაცია ან ამ შეზღუდვების მთლიანად გაუქმება. ამის მიზეზი ისაა, რომ ტრანსნაციონალური კომპანიების მოზიდვის დეტერმინანტები და ქვეყნების მიზნები განსხვავებულია. ორივე მათგანი ცდილობს თავისთვის საუკეთესო გარემოპირობების შექმნას და პოზიციების გამყარებას, გამომდინარე აქედან ყველასთვის ერთნაირად სასარგებლო ვერ იქნება არსებული მოცემულობა, ანალოგიურადაა სხვადასხვა ქვეყნებთან მიმართებაშიც, ზოგს შეუძლია გარკვეულ დათმობებზე წასვლა ზოგის კი პირიქით ცდილობს შექმნას ხელოვნური ბარიერები, რადგან დაიცვას სამამულო წარმოება.

ინვესტორები რომლებიც ინვესტირებას ახდენენ ისეთ დარგებში, სადაც რესურსებს სასიცოცხო მნიშვნელობა აქვს, ისინი აუცილებლად ითვალისწინებენ, რამდენად ხელმისაწვდომია რესურსები, რა პოტენციალი გააჩნია ქვეყნას, არის თუ არა იათი სამუშაო ძალა, რამდენად დიდია ადგილობრივი ბაზარი და რამდენადაა შესაძლებელი მისი სრულად ათვისება და საერთოდ რა ინფორმაციის მოპოვებაა შესაძლებელი მოცემული ბაზრის სრულად შესასწავლად და გამოსაკვლევად. ხშირია შემთხვევა, როდესაც თითქმის ინფორმაციული ვაკუუმია, რაც არამიმზიდველს ხდის მას, ამიტომ ქვეყანამ უნდა შეძლოს და არსებული მოცემულებიდან უნდა შეიმუშაოს სტრატეგია რომლეიც ბაზარს მეტად მიმზიდველს გახდის ინვესტორისთვის.

ლოგიკურია ვთქვათ, რომ ყველა განვითარებადი ქვეყანა, რომელიც ცდილობს მსგავსი სტრატეგიის შემუშავებას, რომელმაც უნდა გაზარდოს სამომავლოდ ინვესტირება, ერთნაირ შედეგს ვერ მიაღწევს, რადგან გასათვაისწინებელია ძალიან ბევრი ფაქტორი. პირველ რიგში, ეს საჭიროებს დიდი დანახარჯებს ინვესტორთათვის ხელსაყრელი ინფრასტრუქტურის შესაქმნელად, რომლის მისაღწევად საჭიროა

მთელი რიგი ღონისძიებების გატარება, კერძოდ ცვლილებები საგადასახადო პოლიტიკაში, ინვესტიციების ნაკადების მოსაზიდად ბარიერების მოხსნა ან ბიზნეს–პროცესების გამარტივება.

არსებობს სახელმწიფოს მიერ უცხოური ინვესტორების საქმიანობაში ჩარევის ოთხი მიდგომა:

პირველი არის პასიური ღია კარის პოლიტიკა, როდესაც მთვარობა არ ერევა ტრანსნაციონალური კომპანიების საქმიანობაში. ამ ეტაპზე ქვეყანას არ გააჩნია ინვესტიციების მიმართ კონკრეტული პოლიტიკა.

მეორე სახელმწიფოს აქვს ღია კარის პოლიტიკა და ცდილობს ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობას სხვადასხვა პირობების შეთავაზებით.

მესამე ეტაპზე გამოიყენება სპეციფიკური პოლიტიკა, რომელის მიზანია კონკრეტული ინვესტიციების მოზიდვა და მათი საქმიანობის მკაცრი კონტროლი.

მეოთხე ბოლო ეტაპი ქვეყნები მიმართავენ შემზღუდავ პოლიტიკას იმ ინვესტორებზე, რომლებმაც შეიძლება ცუდი გავლენა იქონიონ ქვეყნის ეკონიმიკის განვითარებაზე.

დეტერმინანტები რომლებიც გავლენას ახდენს ინვესტიციების ნაკადების ინტენსივობაზე. განვიხილავთ სამ საფეხურიანი ჩარევას სახელმწიფოს მხრიდან: რა გავლენას ახდენენ პოტენციურ ინვესტორებზე, ადგილობრივ ინვესტორებზე და რეალურ ისნევსტორებზე. ცალ-ცალკე განასხვავებენ დეტერმინანტების სამ ტიპს: მაკროეკონომიკური პოლიტიკა, სპეციფიკური ინდუსტრიული პოლიტიკა და სხვა ზოგადი პოლიტიკა, სწორედ მათ აკისრიათ უმნიშვნელოვანესი როლი გადაწყვეტილებების მიღებისას, რომელსაც იღებს ტრანსნაციონალური კომპანია.

დეტერმინანტები, რომელებიც გავლენას ახდენს პოტენციურ ინვესტორებზე

როდესაც სახელმწიფო ცდილობს უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, ინდუსტრიულ პოლიტიკას დიდი გავლენა აქვს ინვესტიციების ნაკადების მოცულობაზე. ინდუსტრიული პოლიტიკის მეთოდებიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ხელშეწყობის (Promotion) ღონისძიებები. მიუხედავად იმისა, რომ ეს

ღონისძიებები ჯდება ძალიან ძვირი და მოითხოვს დიდი ჩართულობას, ეს ამად ნამდვილად ღირს, რადგან იგი თავის მხრივდ თავიდან გვარიდებს საკმაოდ დიდ სირთულეებს, რაც გამოწვეული შეიძლება იყოს ინფორმაციული სიმცირით, რომელიც გარემოს არამიმზიდველს ხდის და ინვესტორს მსგავსი ფაქტის თავიდან ასარიდებლად სხვადასხვა ქვეყნება ჩვენს შემთხვევაში კი განხილული გვაქვს სინგაპური და ირლანდია, რომებმაც ჩამოაყალიბეს კომპანიები, რომლებიც ერთგვარ მარკეტინგულ მხარდაჭერას უწევენ ქვეყანას და დაინტერესებულ პირებს აწვდიან შესაბამის ინფორმააციას.

მიშვნელოვან ფაქტად რჩება ფინანსური და ფისკალური პოლიტიკა, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს ინვესტორს შესთავაზოს მასზე მორგებული პირობები, რომლელიც შეიძლება გამოხატული იყოს დაბალ გადასახადებში, თუმცა საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ყოველთვის ვერ შეძლებს მსგავს დათმობებზე წასვლას სახელმწიფო, რადგანნ ეს თავის თავში გულისხმობს ნაკლებ შემსავლებს და ბიუჯეტის სიმცირეს, რის გამოც შეიძლება ვეღარ განხორციელდეს მნიშვნელოვანი ეკონომიკური თუ სოციალური პროექტები, ვერ მოეწყოს გზები ვერ განვითარდეს ინფრასტრუქტურა, რომელიც ასე მნიშვნელოვანია როგორც ინვესტორითვის ასევე ქვეყნისთვისაც.

ადმინისტრაციული პროცესების გამარტივება, ასევე მნიშვნელოვანია საზღვარგარეთიდან ინვესტიციების მოსაზიდად. რთული ადმინისტრაციული პროცესები ქმნის ბარიერს ტრანსნაციონალური კორპორაციების ბაზარზე შემოსვლისათვის. აქედან გამომდინარე, მთავრობის მიერ არჩეული სწორი კურსი იქნება პროცესების გამარტივება. აღნიშნული შეამცირებს ინვესტორის მიერ დახარჯულ დროსა და მის მიერ გაწეულს დანახარჯებს, რაც ხელს შეწყობს ინვესტიციების მოზიდვას.

რა თქმა უნდა მხოლოდ საინვესტიციო პოლიტიკა ვერ უზრუნველყოფს სასურველი შედეგის მიღწევას აქ გასათვალისწინებელია კიდევ ბევრი ფაქტორი, მათ შორის სამუშაო ძალა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შეუფერხებელი მუშაობა, მათ

სჭირდებათ შესაბამისი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება, რომ სწორად ჯეროვნად და თამიმდევრულად მოახდინოს მათზე დაკისრებული მოვალების შესრულება. წინაღმდეგ შემთხვევაში მოუწევს ინვესტორს მოქმედი სამუშაო ძალის გადამზადება ან ჩანაცვლება, რაც დამატებით თანხებთან და დროსთანაა დაკავშირები. გამომდინარე აქედან სამომავლოდ ინვესტორი აირჩევს ისეთ ქვეყანას ურთიერთობისთვის, სადაც მას შედარებით ნაკლები შრომა და თანხის დახარჯვა მოუწევს, ამიტომ ქვეყანა უნდა უზრუნველყოს სამუშაო ძალის მუდმივი გადამზადება.

ასევე უმნიშვნელოვანესი ფაქტორი არის ქვეყნის ფინანსური ბაზრის სიძლიერე. სუსტი ფინანსური ბაზრის პირობებში, ფინანსური რესურსები ნაკლებად ხელმისაწვდომია კომპანიებისათვის და უფრო ძვირი უჯდებათ. ამიტომ სუსტად განვითარებულ ფინანსურ ბაზარს უარყოფითი გავლენა აქვს ინვესტიციების მოზიდვის მხრივ.

თუ ქვეყანას შევხედავთ ზოგადი პოლიტიკის ჭრილში, ფაქტორები, რომლებიც ინვესტორის გადაწყვეტილებაზე ახდენენ გავლენას, არის ქვეყნის გლობალური ეკონომიკური კურსი. როდესაც ქვეყანა გაერთიანებულია სხვადასხვა საერთაშორისო თანამეგობრობებში, ეს მას საშუალებას აძლევს შეამციროს დანახარჯები და მიიღოს ის საყოველთაო სიკეთე, რომელსაც ამ ორგანიზაციებში გაერთიანებული სახელმწიფოები იღებენ, ეს კი აუმჯობესებს საინვესტიციო კლიმატს და უფრო მიმზიდველს ხდის მას. სიკეთეში რა თქმა უნდა იგულისხმება დაბალი დანახარჯები როგორ დრის ასევე ფინანსების მხრივ.

დეტერმინანტები, რომელიც გავლენას ახდენს არსებულ ინვესტორებზე

უკვე არსებულ ინვესტიციებში ქვეყნის ჩარევის საკითხი არის ძალიან მნიშვნელოვანი. ადგილობრივი მთავრობის მიერ სწორი პოლიტიკისა და მიდგომების გამოყენება წაახალისებს ინვესტორებს წარმოების პროცესის გაუმჯობესებისაკენ და სამუშაო ძალის კვალიფიკაციის ამაღლებისაკენ, ისინი შექმნიან და დანერგავენ ახალ ტექნოლოგიებს, რომლებიც დადებით შედეგს მოუტანს ქვეყანას და მის ეკონომიკას. თუმცა, კონტროლის გარეშე ინვესტორებმა

შეიძლება გამოიყენონ ქვეყნის ხელმისაწვდომი რესურსები თავიანთი მოგების გასაზრდელად ისე, რომ თავად წვლილი არ შეიტანონ ქვეყნის განვითარებაში და ის ნაკისრი ვალდებულები, რომლებიც ქვეყნის წინაშე წარმოეშვებათ არ შეასრულონ, რაც დააზარალებს ქვეყანას.

ამ მოცემულობიდან გამომდინარე სწორი იქნება, თუ სახელმწიფო უზრუნველყოფს მჭიდრო თანამშრომლობას ტრანსნაციონალურ კომპანიებსა და ადგილობრივ ფირმებს შორის. თუ ადგილობრივი კომპანიებს განვითარების დონე უფრო დაბალია, ვიდრე ტრანსნაციონალური კომპანიებისა, მაშინ ეს თანამშრომლობა დაეხმარება მათ განვითარებაში. გარდა ამისა, პოლიტიკის გამტარებლებმა უნდა უზრუნველყონ ტრენინგებისა და შემსწავლელი კურსების ჩატარებაზე, რაც აამაღლებს სამუშაო ძალის განვითარების დონეს.

თუმცა, ამასთან ერთად, სახელმწიფომ უნდა დააწესოს კონტროლი, რათა თავიდან აიცილოს არათანაბარი კონკურენცია, განპირობებული ტრანსნაციონალური კომპანიების უპირატესობით, რომელთაც აქვთ დიდ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, ამით ის დაიცავს ადგილობრივ ბაზარს, საშუალებას მისცემს მათ გრძლვადიან პერიოდში გახდნენ კონკურენტუნარიანები და მიაღწიონ განვითარების მაღალ ეტაპებს.

დეტერმინანტები, რომელიც გავლენას ახდენს ადგილობრივ ფირმებზე

ბოლო ეტაპზე ქვეყანამ უნდა ჩაატაროს მაკონტროლირებელი ღონისძიებები ადგილობრივ ფირმებსა და ტრანსნაციონალურ ორგანიზაციებს შორის. მათ დადებითი შედეგი მოაქვთ კომპანიებისთვის და ასევე დადებითად უნდა იმოქმედონ სახელმწფომ ეკონომიკის განვითარებაზე, რომლის მიზანიცაა ტერიტორიაზე ისეთი ეკონომიკური კონკურენცია შექმნას, რომელიც მომავალში ამ ტერიტორიის ეკონომიკურ მდგომარეობას და ამის შემდეგ აქ მაცხოვრებელი ყველა ადამიანის ცხოვრების პირობებს და ხარისხს გააუმჯობესებს. ეს არის პროცესი, რომელის ფარგლებშიც ეკონომიკური მაჩვენებლის გაზრდისთვის საუკეთესო პირობებისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის მიზნით, საჯარო, ბიზნეს და არასამთავრობო

სექტორი ერთმანეთთან მჭიდროდ თანამშრომლობენ (ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება, 2000).

1.3. ინვესტიციების საერთაშორისო გადაადგილება

კაპიტალის მოძრაობა დღევანდელ მსოფლიოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. ეს არის გლობალური მოვლენა, რომლისთვისაც საზღვრები ფაქტობრივად არ არსებობს. ყველა ეროვნების კაპიტალის ბუნება ერთნაირია - იგი მიემართება იქით, სადაც გარანტირებულია დიდი მოგება (ჟვანია, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა, 2006).

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ მნიშვნელოვან წილად გაიზარდა კაპიტალის ექსპორტი, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ: საფრანგეთი გერმანია, იაპონია, დიდი ბრიტანეთი და აშშ, რომელიც მეოცე საუკუნეში კაპიტალის მთავარ ექსპორტიორად იქცა.

მეცნიერთა აზრით კაპიტალით ვაჭრობა ბევრად მომგებიანი და სასიკეთოა, როგორც ქვეყნებისთვის ასევე საერთასორისო მასშტაბებით, ვიდრე საერთაშორისო ვაჭრობა, რადგან კაპიტალით ვაჭრობის დროს, ქვეყნებს შორის მდგომარეობა ბევრად სტაბილურია, რაც გრძელვადიან გარანტიას იძლევა მშვიდობის.

კაპიტალით ვაჭრობა, გამოწვეულია მისი სიჭარბით, დღევანდელ რეალობაში მისი ბრუნვა არნახულ მასშტაბებს აღწევს, ასევე ტრანსნაციონალური კორპორაციების განვითარებამ და მათმა მოდიფიკაციამ, მანქანამოწყობილობების და სატრანსპორტო საშუალებების განვითარებამ, რომლებზეც მოთხოვნა ძალიან დიდია.

სახლემწიფოს კრიზისის პირობებში ინვესტიციები წარმოადგენენ ყველაზე მნიშვნელოვან საშუალებას სოციალური და საწარმოო პოტენციალის სტრუქტურული გარდაქმნისა და მისი ბაზრისადმი დაქვემდებარების გზაზე.

საერთაშორისო სავალუტო ფონდის მონაცემებით, პირდაპირი ინვესტიციების გატანა მსოფლიო მასშტაბით 1981-2000 წლებში გაიზარდა 23-ჯერ, ხოლო შემოტანა - 20-ჯერ.

საგულისხმოა და გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ინვესტიციები არ ზრდის სახელმწიფო ვალს, პირიქით ის ინვესტირდება გრძელვადიანი პერიოდით, რომელიც თავის მხრივ ხვდება რა ეკონომიკაში, ამაღლებს მის მწარმოებლურობას და ზრდის მას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როგორც ექსპორტიორები, ასევე იმპორტიორები არიან განვითარებული ქვეყნები. 80-90-იანი წლებიდან განსაკუთრებით აქტიურდება ინვესტიციების საერთაშორისო გადაადგილება.

ინვესტიციების განთავსება და მოზიდვა ხდება განვითარებული ქვეყნების ფარგლებში. მათ შორის ესენი არიან: აშშ, კანადა, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, საფრანგეთი, ლუქსემბურგი და ნიდერლანდები და ა.შ.

ინვესტიციების ნაწილი, რომლებიც განვითარებადი ქვეყნებიდან არის მოზიდული მოედინება ლათინური ამერიკის და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებიდან, ასევე აზიის სამხრეთიდან, აღმოსავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნებიდან. გამომდინარე იქედან რომ ევროპის დიდი ნაწილი უკვე საკმაოდ განვითარებულია მათი მონაწილეობა მსგავს ინვესტიციებში ძალიან მცირეა.

მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებს ყველაფერ სიკეთესთან ერთად, აქვს კიდევ ერთი დიდი და მნიშვნელოვანი როლი ქვეყნის ეკონომიკისთვის, რაც გამოიხატება მისი შემოდინების დროს ეროვნული ვალუტის გამყარებით, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკური პრცესების გაჯანსაღებას, ეს ყველაფერი კი აიხსნება მარტივად, ინვესტორს საინვესტიციო თანხა შემოაქვს უცხოურ ვალუტაში, სწორედ აღნიშნული ფაქტია ყველაზე კარგი შესაძლებლობა ქვეყნისთის, შეძლოს და არა მარტო დაიცვას არამედ გაამყაროს ეროვნული ვალუტა, მისი მსყიდველუნარიანობა კიდევ უფრო აამაღლოს, რაც ასევ ძალიან მნიშვნელოვანია.

ინვესტირების მუდმივი და საიმედო არხების მოძებნა ქვეყანას კიდევ უფრო სტაბილურს ხდის, აძლევს საშუალებას გახდეს კიდევ უფრო წარმატებული განვითარებული და კონკურენტუნარიანი, მათზე ხელმისაწვდომობაა, ზრდის სახელმწიფოს ფინანსურ პოტენციალს, რომელიც თავის მხრივ უზრუნველყოფს, მის უყვეტ ზრდასა და განვითარებას.

დიაგრამაN1



წარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრი - https://www.geostat.ge/media/25519/ucxouri-investiciebi-2018-celi-%28geo%29.pdf

დიაგრამა N1 - ზე ნაჩვენებია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების გადაადგილება საქართველოში, გამოსახული მილიონ აშშ დოლარში. თუ დავაკვირდბით ნათლად დავინახავთ, რომ 2008 წელს წარმოქმნილმა საომარმა მოქმედებებმა და მსოფლიო კრიზისმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია ინვესტიციების შემოდინებაზე ქვეყანაში და 2007 წელთან შედარებით მისი მოცულობა 42,33 % - ით შემცირდა, რაც რა თქმა უნდა ძალიან ცუდი მაჩვენებელი იქნებოდა

ყველა ქვეყნისთის, განსაკუთრებით კი საქართველოსთის, რომელიც ჯერ კიდევ განვითარებად ქვეყანათ ჯგუფს მიეკუთვნება. სწორედ ამ პერიოდში მოხდა განსაკუთრებული სიმწვავით უმუშევრობის გამოვლენა, რადგნა არა მარტო ის რომ ხალხი ვერ საქმდებოდა დამატებით, არამედ კრიზისმა და ეკონომიკურმა რასტაბილურობა, კიდევ უფრო დააზარალა სამუშაო ძალა, არამყარმა სიტუაციება აიძულა კომპანიები, გადასულიყვნენ, რესურსების დაზოგვაზე და დაიწყო ადამიანთა გათავისუფლება სამსახურებიდან, მაშინ როდესაც ქვეყანაში კრიზისული სიტუაცია მძვინვარებდა. ჯერ ისედაც მძიმე მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა ამ ფაქტმა. ამიტოაა მნიშვნელოვანი უცხოური ინვესტიციები, რომებსაც უდიდესი წარმატების მოტანა შეუძლია, როგორც ქვეყნისთვის ასევე მისი მოსახლეობისთვის.

თავი 2. საქართველოში მოქმედი საინვესტიცო გარემო და სერთაშორიო რეიტინგები

2.1. საქართელოს საინვესტიციო პოლიტიკა

ქვეყნის ეკონომიკის ზრდა-განვითარება ბევრ ფაქტორზეა დამიკიდებული, რომელთაგან უმნიშვნელოვანესი ადგილი ინვესტიციების ზრდას უკავია. ინვესტიცია შეიძლება იყოს შიდა და საგარეო. ორივე შემთხვევაში ინვესტიციას დანაზოგები ქმნის.

საქართველოში დანაზოგების დონე მაღალი არ არის , რადგან მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს ისეთი შემოსავალი, რომ ფული დაზოგოს. ეს გარემოება კიდევ უფრო აუცილებელს ხდის უცხოური დანაზოგების, იმავე ინვესტიციების საქართველოში მოზიდვას. ამასთან ინვესტიციები უცხოური ვალუტით შემოდის და ლარის გაცვლითი კურსის სტაბილურობას უწყობს ხელს. ხშირ შემთხევაში უცხოურ ინვესტიციას ცოდნა, გამოცდილება, ტექნოლოგიები და ცნობადობა მოჰყვება.

დღეს ბევრი ქვეყანა ეჯიბრება ერთმანეთს უცხოური ინვესტიციების მოზიდვაში. შეჯიბრი ინვესტორებისთვის ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შეთავაზებაში გამოიხატება. ინვესტორებს იზიდავს: სტაბილური პოლიტიკური სიტუაცია, დაბალი გადასახადები და რეგულაციები, იაფი ან კვალიფიციური სამუშაო ძალა, სტაბილური მაკროეკონომიკური გარემო, ქვეყნის ეკონომიკური გახსნილობა, ბუნებრივი რესურსები, სტრატეგიული მდებარეობა, თავისუფალი ვაჭრობა, და სხვა ფაქტორები.

ქვეყნის შიდა ბიზნესგარემოს გარდა, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დონე დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი ეკონომიკური მდგომაეობაა მსოფლიოში. მაგალითად 2007 წლამდე მსოფლიოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები სწრაფად

იზრდებოდა და 2007 წელს 3 ტრილიონ დოლარს გადააჭარბა. 2009 წელს მსოფლიო კრიზისის დროს 56 %-ით შემცირდა. 2010-2011 წლებში იზრდებოდა მგარამ 2012 წლიდან მცირედი შემცირების ტენდენცია აქვს (რამდენად წარმატებულად იზიდავს საქართველო უცხოურ ინვესტიციებს, 2017).

ცხრილიN1

საქართველოში განხორციელებული
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები
1997 წლიდან 2018 წლის ჩათვლით. მლნ. აშშ
დოლარი

წელი	სულ	I კვ.	II კვ.	III კვ.	IVკვ.
1996	8	...	..	..	...
1997	242.6	8.8	48.5	97.0	58.2
2007	1,764.7	330.8	375.3	470.6	588.0
2008	1,575.2	540.1	607.7	136.1	291.3
2009	66.8	114.5	178.3	179.1	194.9
2018	1,265.2	323.5	403.6	367.0	171.0

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრი-
https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

2007 წელს საქართველომაც დაათვიქსირა ინვესტიციების რეკორდული მაჩვენებელი 2 მილიარდი დოლარი, მაგრამ 2009 წლს როდესაც ქვეყანაში

დასრულდა საომარი მოქმედებები ინვესტიციების მოცულობა მხოლოდდამხოლოდ 658 მილიონი დოლარს მიაღწია.

რა თქმა უნდა შემოსული ინვესტიციების მოცულობის ავ-კარგიანობა მთლიანი შიდა პროდუქტიდან გამომდინარეობს, შედეგი, რომელიც ჩვენმა ქვეყანა დააფიქსიარა 2007 წელს თუ შევადარებთ უფრო დიდი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტს მივხვდებით, რომ აღნიშნული მაჩვენებელი ძალიან ინდივიდუალურია.

ცხრილ N1 -ში (საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები 1996-209) მოცემულია მონაცემები, რომელიც გამოაქვეყნა საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა ცენტრმა, სადაც მკაფიოდ ჩანს, რომ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი 90 - იანი წლების ბოლოდან საგრძნობლად დიდი მასშტაბებით იმატებს, რაც რა თქმა უნდა პირველ რიგში გამოწვეული იყო იმით, რომ ქვეყანამ მეტ-ნაკლებად მიაღწია სტაბილურობას, განსხვავებით XX საუკუნს ბოლო ათწლეულის პირველი ნახევრისა, როდესაც სახელმწიფოში სრულ განუკითხაობასა და და ქაოსთან ერთად შიდა ომი მიმდინარეობდა.

2001 წელში მათი შემოდინება მკვეთრად შემცირდა, ისევე როგორც 2009 წელს რაც ექსპერტთა აზრით გამოწვეული იყო არა მარტო მსოფლიოში კრიზისული მდგომარეობით, არამედ 2008 წელს მომხდარი საომარი მოქმედებებით რუსეთ საქათველოს შორის, რომელმაც დიდი პოლიტიკური დუელი გამართა დასავლურ სახელმწიფოებსა და მათ სტრატეგიულ თანამშრომლებს შორის.

2.2 უცხოური ინვესტიციების ქვეყანაში მოზიდვა სტიმულირების ხელშეწყობის პოლიტიკა

საქართველოში გასული საუკნის 90 -იანი წლებიდან მოყოლებული მუდმივად მიმდინარეობს ზრუნვა საინვესტიციო პოლიტიკის ლიბერალიზაციაზე, რამაც უნდა

გაზარდოს უცხოური ინვესტიციების შემოდინება ქვეყანაში. შეამცირეს და ზოგიერთი შეზღუდავ მთლიანად ამოიღეს კანომდებლობიდან.

არის რიგი საკითხები, რომლებიც შეიმუშავა ქვეყანამ იმისათვის, რათა მიიზიდოს ინვესტორი. მაგალითად ინვესტორს არ აქვს შეზუდვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს იმას, რომ იმ შენობა ნაგებობას ან მიწას, სადაც მას სურს გარკვეული თანხის ინვესტირება, შეუძლია პირდაპირ იყიდოს და იჯარაში ზედმეტი თანხა აღარ გადაიხადოს, რაც თავის მხრიმ შეამცირებს მის დანახარჯებს, ასევე ინვესტორს სიმბოლურ თასდ 1 ლრად გადაეცემა შენობა-ნაგებებობა ან მიწა გარკვეული პირობის სანაცვლოდა, თუ იგი მსგავსი პრივილეგიით ისარგებლებს თბილისში 2 წლის მანძილზე ქონების საბაზრო ღირებულების გაექვსმაგებული რაოდენობის ინვეტიცია უნდა განახორციელოს, ხოლო თუ რეგიონში აირჩევს მსგავს ადგილს, იქ ოთხმაგი ოდენობის ინვესტიციის განხორციელბა მოუწევს.

სასტუმროს ტიპის ბიზნესის ხელშეწყობისა და განვითარებისთვის სახელმწიფოს ქონების ეროვნულმა სააგენტომ შეარჩია გარკვეული ტერიტორიები სადაც ინვესტორებს ასევე შეეწყობათ ხელი საქმიანობის წამოსაწყებად, თუ ეს ადგილი იქნება მაღალმთიანი რეგიონი ისნი გათავისუფლდებიან ქონების, საშემოსავლო და მოგების გადასახადებისგან.

ქვეყანას უკვე მიღწეული აქვს შეთანხმება თავისუფალი ვაჭრობის ევროპულ ასოციაციასთან EFTA (European Free Trade Association), ასევე საქართველო წევრი ქვეყანაა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების DCFTA.

ინვესტორები, რომლებსაც დასჭირდებათ სესხის აღება და ისინ ამ სესხს საქართველოში მოქმედ საფინანსო ინსტიტუტებში აიღებენ ეროვნულ ვალუტაში, რომელიც მიმართული იქნება კომპანიის გადაიარაღებისთვის ან გაფართოებისთვის, პროგრამა ,,აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში მიიღებენ 2 წლის განმავლობაში პროცენტის თანადაფინანსებას 10 პროცენტის ოდენობით. იმ შემთხვევაში თუ ინვესტორის საქართველოში მოახდესნ 300 ათსი ლარის ინვესტიციას, მას შეუძლია

მიიღოს საინვესტიციო ბინადრობის უფლება, რაც ერთგვარი სტიმულია ასევე (საინვესტიციო კლიმატი საქართველოში ძალიან მომგებიანია, 2018).

მნიშვნელოვანია GSP (ევროკავშირის ბაზარზე საქონელი შეუძლიათ შეიტანონ შემცრებული ტარიფით, ან უფასოდ) შეთანხმება, რომლის ფარგლებშიც საქონლის კონკრეტულ ნომენკლატურაზე, მათ შორის თამბაქოსა და მის ნაწარმზე, გადასახადების გაუქმება იმპორტის ხელშეწყობის თვალსაზრისით მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკაა. ამ მიზნით:

1) ქვეყნები დებენ ორმხრივ ხელშეკრულებებს თავისუფალი სავაჭრო ურთიერთობების შესახებ.

2) განვითარებადი ქვეყნებისთვის მოქმედებს პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა, ე.წ. GSP (ან „GSP+“, რაც დამატებით შეღავათებს მოიცავს).

3) იქმნება საბაჟო კავშირები რეგიონული ან სხვა გეოგრაფიული ნიშნით და ა.შ. („საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ“ (07-2/135, 06.12.13), 2013)

ქვეყანაში ასევე არსებობს ,,საპარტნიორო ფონდი,, რომელიც არის სახელმწიფოს საკუთრება და მეწარმეს სთავაზობს დამატებით ფინანსურ დახმარებს, რადგან უცხოელი ინვესტორებისთვის დამატებითი რისკის თავიდან აცილება მოხდეს

ჩამოთვლილი ყველა შეთანხმება და ორგანიზაცია მიმართულია საინვესტიციო და სამეწარმეო საქმიანობის გამარტივება-ხელშეწყობისკენ, იქნება ეს მათი ფინანსური მხარდაჭერა თუ დამატებითი ხარჯების შემცირება/გაუქმება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი მოცულობით 2019 III კვარტალში წინასწარი მონაცემებით განახორციელა სულ 10 ქვეყანამ, რომელთა საერთო ჯამური მოცულობა 319,800,000 აშშ დოლარს შეადგენს. ქვემოთ მოცემულია ცხრილი N2 , სადაც გადანაწილებული და ნაჩვენებია, თითოეულ მათგანს რა წილით აქვს ინვესტირება განხორციელებული.

ცხრილიN2

უმსხვილესი პირედაპირი
ინვესტორი ქვეყნები 2019 წლის
III კვარტალში მილიონი აშშ
დოლარში

	ქ ვეყნები	თანხის მოცულობა
1	გაერთიანებულმა სამეფო	78,400,000
2	ნიდერლანდები	68,300,000
3	თურქეთი	43,100,000
4	ჩინეთი	30,100,000
5	აშშ	25,100,000
6	იაპონია	16,200,000
7	პანამა	15,700,000
8	რუსეთი	15,100,000
9	დანია	14,700,000
10	ჩეხეთი	13,100,000

წყარო : საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრი - https://www.geostat.ge/media/26131/ucxouri-investiciebi-2019-II-kv-%28geo%29.pdf

აღსანიშნავია გაერთიანებული სამეფოს მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიმდინარე პროცესებში, იგი არის მოწინავე პოზიციაზე მოცემული ეტაპისთის, მისი ინვესტირება მთლიანი შემოდინებული თანხის 24,52 % -ს შეადგენს.

დიაგრამაN2



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული ცენტრი - https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

შემოსული ინვესტიციებიდან გამომდინარე გთავაზობთ დიაგრამა N2-ს სადაც პროცენტულადაა გამოსახული პირაპირი უცხოური ინვესტიციებიდან გადანაწილებული თანხები სხვადასხვა სექტორში, 2019 წლის III კვარტლის მდგომარეობით, რომლის მიხედვითაც პრიორიტეტულ სფეროებად გვევლინებიან: საფინანსო სექტორი, შემდეგ არის დამამუშავებელი მრეწველობა, სასტუმრო და რეტსორნები, მშენებლობა, ენერგეტიკა და ა.შ. აღსანიშნავია და სასიამოვნოა, როდესაც ვხედავთ, რომ ენერგეტიკა ნელ-ნელა ხდება მნიშვნელოვანი მიმართულება, რომლის გასავითარებლადაც ქვეყანა ცდილობს დიდი თანხები მიმართოს, ააშენოს ახალი ჰესები, რაც თავის მხრივ საშუალებას მისცემს, ენერგო უსაფრთხოების მიმართულებით, სახელმწიფო იყოს მშვიდად, რადგან იგი წარმოადგნს სტრატეგიულად ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რესურს, რომელის სტაბილურ რეჟიმში ფუნქციონირებაზე ბევრი რამეა დამოკიდებული.

2.3 საქართველოს საინვესტიციო გარემო და ეკონომიკური მდგომარეობა

თუ გადავხედავთ მსოფლიო ბანკის და სხვა მნიშვნელოვანი ორგანიზციების მიერ გამოქვეყნებულ მსოფლიო რეიტინგებს, ნათლად დავინახავთ, რომ საქართველო ნამდვილად დიდ პროგესს განიცდის და მთელ რიგ საკითხებში მოწინავე პოზიციებზე დგას, სხვა უფრო მეტად განვითარებულ ქვეყნებთან მიმართებაში , რაც მის საინვესტიციო გარემოს აჯანსაღებს და აძლიერებს. მაგალითად Doing business – ის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში, რომელიც ათვასებს ან უკვე გასულ წელს საქართველომ მსოფლიოს 190 ქვეყანს შორის ,,ბიზნესის კეთების'' სიმარტივის კუთხით მე - 7 ადგილი დაიკავა ასევე მე - 7 ადგილი დაიკავა ,,ეკონომიკის თავისუფლების'' მიმართულებით 2018 წელს, კორუფციის აღქმის ინდექსში მნიშვნელოვნად გაიუმჯობესა მდგომარება და გადაინაცვლა 41-ე ადგილზე, რაც შეეხება ბიზნეს გარემოს გაუმჯობესებას ისტორიაში საუკეთესო მაჩვენებელი მე-6 ადგილი დაიკავა, გამომდინარე აქედან საინვესტიციო გარემო მიმზიდველია ნებისმიერი უცხოელი ინვესტორისთვის და გლობალური ბიზნესისთვის, რაც გამომდინარეობს ქვეყანაში განხორციელებული მრავალი რეფორმებისა და მიღწეული წარმატებისაგან, განსაკუთრებით დიდი როლი 2014 წელს მიღწეულმა შეთანხმებამ იქონია, რომლის ფარგლებშიც ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმებას, შემდგომ კი ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ ვაჭრობას, რაც ავტომატურად გულისხმობს, შეუზღუდავ ვაჭრობას ევროპის 28 სახელმწიფოს შორის, სადაც საშუალება ეძლევა ქვეყანას წარმოადგინოს თავი და დაინტერესოს ინვესტორები, რომლებსაც აღნიშნული ხელშეკრულებით უკვე აქვთ გარკვეული სიგნალი, იმისა, რომ ჩვენს ქვეყანაში არის კარგი საინვესტიციო კლიმატი და გარემო, რომელში ადაპტირებაც

არ გაუჭირდებათ მათ, რადგან შეთანხმების თანახმად ბევრი საერთო-მაკავშირებელი ინტერესი იკვეთება.

მნიშვნელოვანწილად აძლიერებს საინვესტიციო გარემოს ,,აბრეშუმის გზის'' ამოქმედება, რომელიც აკავშირებს ჩინეთს, საქართველო, ყაზახეთს, აზერბაიჯანს, თურქეთს და რაც ასევე მნიშვნელოვანია, სამომავლოდ ამ ჩამონათვალს შეიძლება კიდევ ბევრი ქვეყანა მიემატოს, რომლებიც თავის მხრივ მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ ქვეყნის საინვესტიციო გარემოს გაძლიერებაში.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ინვესტიციები არ ადიდებს სახელმწიფო ვალს, რომელიც ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზრდა და 2019 წლის მონაცემებით 19 მილიარდ 716 მილიონი აშშ დოლარი შედგინა მაშინ როდესაც მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა შეადგენს 44 მილიარდ 914 მილიონ ლარს, ჯამში კი სახელმწიფო ვალი მშპ - ს 27 % - ით აღემატება, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის საშინელი მაჩვენებელია.

ქეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპები დაბალია, საშუალოდ ბოლო ხუთი წლის მონაცემებით ეკონომიკის ზრდა ვერ გასცდა 5 %-იან ნიშნულის, რაც დამენატანხებით სასურველი შედეგის მმტანი ქვეყნისთვის ვერ იქნება, მთლინი შიდა პროდუქტის (მშპ) ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით საქართველოს მდგომარეობა ევრობის ქვეყნებთან მიართებაში ძალიან ცუდია, თითქმის 10-ჯერ და მეტჯერ აღემატება მათი მოცულობა ჩვენსას და ეს ცხოვრების დონეზეც აისახება, აარრიატიკურად ქვეყანაში ყოველი მე-6 ბავშვი შიმშილობს, რაც გამოწვეულია სწორედ იმ ვერ წარმოებით, რომელმაც სამომავლო დინამიკაში უნდა გაზარდოს მშპ-ს მოცულობა და მან კი ეკონომიკა, რომლის ხაჯზეც მოხდება, მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური გაძლიერება.

მიუხედავად ბევრი წარმატებისა ქვეყანა ჯერ კიდევ უამრავი გამოწვევსი წინაშე დგას, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია, სიღარიბის დაძლევა, უმუშევრობის შემცირება, ეროვნული ვალუტის გამყარება და ქვეყანაში მოქმედი ინსტიტუტების მყარი და რაციონალური ფუნქციონირების მიღწევა. ამ პროცესებმა თითქმის

უმართავი სახე მიიღო, ლარმა გაუფასურების ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია, ამავე ეტაპზეა უმუშევრობაც, რაც შეეხება ეკონომიკურ სიდუხჭირეს ყოვრლწლიურად უფრო ძლიერდება ეს პრობლემა, ქვეყანას უფრო ემატება სოციალურად დაუცველი ფენა და მათი სოციალური პრობლემები, რომელთა გადაჭრასაც სამწუხაროდ ხშირ შემთხვევაში ვერცერთი მხარე ვერ ახერხებს. 4 მილიონიანი მოსახლეობისთვის 200 ათასი სოციალურად დაუცველი საშინელი მაჩვენებელია, თუმცა ამ ციფრში რა თქმა უნდა სრული რაოდენობა ამ ადამიანების ასახული არ არის.

დიაგრამა N3

2019	4,5%
2018	4,7%
2017	4,8%
2016	2,8%
2015	2,9%
2014	4,6%
2013	3,3%
2012	6,4%
2011	7,2%
2010	6,2%
2009	-4%
2008	2,6%
2007	12,6%
2006	9,4%

წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო - https://mof.ge/mshp_ekonomikuri_zrda

დიაგრამა N3 ზე ნათლად ჩანს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ზრდის ტემპები, თუ დავაკვირდებით დავინახავთ რომ 2007 წელს ქვეყანას ჰქონდა ყველაზე დიდი რეკორდული, ეკონომიკური ზრდა 12,6 %, მაშინ როდესაც პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 2 მილიარდ აშშ დოლარს გადააჭარბა, აქედანვე ნათლად ჩანს თუ რამდენად დიდი მნიშვნელობა აქვს, უცხოურ ინვესტიციებს, რაც შეეხება 2008-2009 წლებს ამ წლებში ზრდა თითქმის ნოლს უტოლდება, რაც გამოწვეულია, ქვეყანაში განვითარებული საომარი მოქმედებებითა და მსოფლიო კრიზისით, ამ დროს

დაფიქსირდა ინვესტიციების ყველაზე დაბალი მაჩვენებელი 666 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წელთან შედარებით კატასტროფულად ცუდი მაჩვენებელია, აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ ქვეყანაში აუცილებლია სტაბილური მდგომარეობა, როგორც ეკონომიკურად ასევე ოლიტიკურად, წინააღმდეგ შემთხვევაში ინვესტორები, თავს არიდენებ ასეთ ქვეყნებს, მიმდინარე შედეგები კი სავალალოა, როგორც ეს ომის შემდგომ პერიოდში დაფიქსირდა, როდესაც ქვეყანა აღმოჩნდა კრიზისში.

2.4 პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ქვეყნის რეგიონში მოზიდვა სტიმულირების სახელმწიფო საინვესტიციო პოლიტიკა

მთავრობის საინვესტიციო პოლიტიკის პრიორიტეტი უნდა იყოს: შექმნას დამატებითი სტიმულები მეტი უცხოური ინვესტიციის მოსაზიდად, გაზარდოს პირდაპირი უცხოური ინვესტიციებიდან წარმოქმნილი სარგებელი მათი დამატებული ღირებულების, ე.წ. ექსტრაფინანსური სარგებლის (მოწინავე ტექნოლოგიების და ცოდნის ტრანსფერი, ინვესტირება და რეინვესტირება კვლევა-განვითარებაში, ადამიანური რესურსების განვითარებაში) წახალისებისა და ამ მიმართულებით ლიბერალური, მაგრამ პრაქტიკული სამთავრობო პოლიტიკის ხარჯზე.

შესაბამისად, მიღებულ უნდა იქნეს ზომები დიფერენცირებული საგადასახადო შეღავათების შემოღებისათვის იმ უცხურ და ინოვაციებზე ორიენტირებულ ინვესტიციებთან მიმართებაში, რომლებიც განხორციელდება ქვეყნის რეგიონებში. მსგავსი ტიპის შეღავათების აუცილებელ წინაპირობად შეიძლება განისაზღვროს ინვესტორის მიერ ნაწილობრივ ან ერთობლიობაში შემდეგ ვალდებულებათა აღება:

ა) განხორციელებული ინვესტიციის მთლიანი მოცულობის გარკვეული პროცენტი უნდა ითვალისწინებდეს კვლევა-განვითარების ხარჯებს;

ბ) განხორციელებული ინვესტიციის მთლიანი მოცულობის გარკვეული პროცენტი უნდა ითვალისწინებდეს ადგილობრივი ადამიანური რესურსების ტრენინგისა და გადამზადების ხარჯებს;

გ) ადგილობრივად პროდუქციის წარმოების შემთხვევაში, მოცემული პროდუქციის გარკვეული პროცენტი უნდა იყოს საექსპორტო;

დ) დასაქმებული მუშახელის და სხვა ადამიანური რესურსების გარკვეული პროცენტი უნდა იყოს ადგილობრივი მოსახლეობა;

ე) განხორციელებული ინვესტიცია უნდა ითვალისწინებდეს ახალი ტექნოლოგიების ტრანსფერს და ადგილობრივ სამიმწოდებლო ბაზართან მჭიდრო ურთიერთობას.

ექსპორტის ხელშეწყობა და ექსპორტზე ორიენტირებული მცირე და საშუალო ბიზნესის წახალისება

ექსპორტზე ორიენტირებული მეწარმეობის წახალისების მიზნით საჭიროა, შეიქმნას შესაბამისი კომპლექსური სახელმწიფო პროგრამა. ამასთან, ექსპორტ-იმპორტის ანალიზის საფუძველზე უნდა მოხდეს რეკომენდაციების შემუშავება იმ სასაქონლო ნუსხის წარმოების შესახებ, რომლის ჩანაცვლებაც და წარმოებაც შეიძლება ახალი ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გამოყენებით ქვეყნის შიგნით და რომელიც უმოკლეს დროში მოგვცემს რეალურ ეფექტს შიდა ბაზარზე, ხოლო შემდეგ მას გახდის კონკურენტულს რეგიონულსა და საერთაშორისო ბაზარზე.

აუცილებელია მიზანმიმართული მუშაობის გაგრძელება საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით. მწვავე კონკურენციის პირობებში უაღრესად მნიშვნელოვანია პროდუქციის დივერსიფიკაცია და ახალი ბაზრების ათვისების სტრატეგიის შემუშავება.

რეგიონის ბრენდის ჩამოყალიბების ხელშეწყობა - რეგიონული წარმოშობის საქონელსა და მომსახურებაზე მომხმარებელთა ნდობის მოპოვება წარმოშობის ადგილზე აქცენტირებითა და რეგიონის საინვესტიციო მიმზიდველობის ამაღლებით რეგიონის ბრენდის ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზნით უნდა მოხდეს ექსპორტის

ბაზარზე მომხმარებელთა ინფორმირება რეგიონში წარმოებული პროდუქციის ხარისხისა და უნიკალური თვისებების შესახებ; შეიქმნას ან დაიხვეწოს რეგიონების ვებგვერდები რეგიონების შესახებ სრულყოფილი ინფორმაციის განთავსების მიზნით; ასევე უნდა მოხდეს რეგიონში წარმოებული პროდუქტის სლოგანისა და ლოგოტიპის დივერსიფიცირებული ვიზუალური და ვერბალური იდენტურობის ფორმირება.

სოფლის მეურნეობისა და ტურიზმის განვითარება

სოფლის მეურნეობა ისტორიულად საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია. მიუხედავად იმისა, რომ მასზე მთლიანი შიდა პროდუქტის შედარებით მცირე ნაწილი მოდის, ამ სექტორში დასაქმებულთა წილი ქვეყანაში დასაქმებულთა მთლიანი რიცხვის მნიშვნელოვან რაოდენობას შეადგენს. ამის გამო სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა საქართველოს რეგიონული განვითარების პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია, ამ ეტაპისთვის მუშაობს რამოდენიმე პროექტი, მათ შორის ამოქმედდა პროგრამა ,,აწარმო საქართველოში'', რომელიც მცირე და საშუალო კლასის ფერმერებს აფინანსებს და ეხმარება განავითარონთ თავისი საქმიანობა, რადგან ეროვნული წარმოება მეტად გაიზარდოს და გახდეს უფრო კონკურენტუნარიანი, რაც თავის მხრივ, გამოიწვევს ეკონომიკის გადიდებას და უმუშევრობის დონის შემცირებას, ეს ყველაფერი კი თავის მხრივ, დადებითად იქმოქმედებს ინვესტორთა სამომავლო გადაწყვეტილებაზე და თანამშრომობაზე. მიუხედავად დასახელებული პროგრამისა, კიდევ ბევრია სამუშაო და გასავითარებელი ამ მიმართულებით, რადგან რეალობა ცხადყოფს, რომ ეს საკმარისი არაა.

საქართველოს რეგიონული განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელოვანი ფაქტორია შესაბამისი პოტენციის მქონე რეგიონებში ტურიზმისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარება. ტურიზმის განვითარებისთვის, რომელიც ხელს შეუწყობს რეგიონების გაძლიერებასა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, საქართველოში დიდი პოტენციალი და რესურსები არსებობს. ტურიზმის სხვა დარგებზე დამოკიდებულების გამო საჭიროა,

შესაბამისი სექტორების განვითარების დაგეგმვისას გათვალისწინებულ იქნეს რეგიონში ტურიზმის განვითარების შესაძლებლობები, მისთვის ხელსაყრელი ან, პირიქით, დამაბრკოლებელი პირობების შექმნის თვალსაზრისით.

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა:

სახელმწიფო პოლიტიკის ძირითადი მიზნების, ამოცანებისა და განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებათა განსაზღვრის მიზნით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგია.

მიღებულ უნდა იქნეს კანონი ფერმერების შესახებ, რომლითაც განისაზღვრება მათი სტატუსი და უფლება-მოვალეობანი.

სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ენდემური და ტრადიციული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების (მევენახეობა-მეღვინეობა, მეხორბლეობა, მეჩაიეობა და ა.შ.) რეაბილიტაციის ღონისძიებების ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერა.

ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულები უზრუნველყოფილ უნდა იქნენ სათანადო ფინანსური მხარდაჭერით მათ მფლობელობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ზუსტი აღრიცხვის და მიწის ბალანსის შესადგენად.

საჭიროა, განხორციელდეს სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მონაცემთა ბაზის შექმნა და მელიორირებული ფართობების ინვენტარიზაცია.

უნდა განხორციელდეს ფერმერებისა და აგრობიზნესში დაკავებული მეწარმეების დაკრედიტების სისტემის სრულყოფა, შეიქმნას ხელსაყრელი პირობები კომერციული ბანკებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მოსაზიდად.

სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად საჭიროა, შეიქმნას აგრომექანიზაციის მომსახურების სახელმწიფო ცენტრები, რომელთა კოორდინაცია უზრუნველყოფილ იქნება საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ.

უზრუნველყოფილ უნდა იქნეს სოფლების მცირე და საშუალო ზომის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით მომარაგების ხელშეწყობა, მანქანა-ტრაქტორების სადგურების შექმნა და/ან შეღავათიანი პირობებით დაკრედიტება.

საჭიროა ღონისძიებების განხორციელება ბაზრის ხელმისაწვდომობის გასაუმჯობესებლად, სოფლის მეურნეობის პროდუქციის რეალიზაციის შესაძლებლობების ამაღლების მიზნით საინფორმაციო ქსელის შექმნა.

საჭიროა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული სამეწარმეო ინიციატივების ინვესტირების წახალისება. საოჯახო მეურნეობებში სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის მხარდაჭერა. კერძოდ, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გადამუშავებაზე ორიენტირებული და სხვა სამეწარმეო ინიციატივების მხარდაჭერა, რომელიც ადგილობრივი საკადრო და სამეწარმეო რესურსების გამოყენებაზე იქნება ორიენტირებული.

საჭიროა სოფლის მეურნეობაში ჩართული ადამიანების ცოდნის ამაღლება და მათთვის ისეთი მნიშვნელოვანი ინფორმაციების გაზიარება,რაც საშუალებას მისცემთ გაზარდონ მოსავალი.

აუცილებელია მხარი დაუჭირონა, შესაბამისი მედიკამენტებითა და სასუქების მიწოდებით, რომლებიც საჭიროა სხვდასხვა კულტურების მოსაყვანად.

ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა

შესწავლილ უნდა იქნეს ტურიზმის განვითარებისათვის ქვეყანაში არსებული პოტენციალი და რესურსები რეგიონების მიხედვით სრულყოფილი მონაცემთა ბაზის შექმნის მიზნით. საჭიროა, დეტალურად აღინუსხოს არსებული ინფრასტრუქტურის ობიექტები (შენობა-ნაგებობები), აგრეთვე ტურიზმის ცალკეული დარგების (ეკო-ტურიზმი, კულტურული ტურიზმი, რეკრეაციული და ა.შ.) განვითარებისათვის რეგიონებში არსებული ბუნებრივი და სხვა სახის რესურსები და ამ ინფორმაციის საფუძველზე შეიქმნას მონაცემთა შესაბამისი ბაზა.

რეგიონებში არსებული რესურსების შესახებ საინფორმაციო ბაზის გამოყენებით უნდა შემუშავდეს ტურიზმის დარგის კომპლექსური განვითარებისათვის გრძელვადიანი სტრატეგია.

საჭიროა, შემუშავდეს შესაბამისი მექანიზმები ტურიზმის სექტორის დივერსიფიცირებისა და შიდა ტურიზმის განვითარების მიზნით, რომელიც ხელს შეუწყობს ტურიზმის სხვადასხვა სახეობის განვითარებას ქვეყანაში.

ქვეყანაში ტურისტული ნაკადის ზრდის უზრუნველსაყოფად უნდა შემუშავდეს ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშემწყობის შესაბამისი პირობები, მათ შორის: საგზაო ტურისტული ნიშნებისა და საინფორმაციო დაფების განთავსება; ტურისტულ ობიექტებზე დაშვების წესის საინფორმაციო დაფების განთავსება.

ტყის რესურსების ინვენტარიზაცია და ეფექტიანად გამოყენების უზრუნველყოფა რეგიონების მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიზნით

უნდა მოხდეს ტყის რესურსების აღწერა (ინვენტარიზაცია), სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის ტყეების გამიჯვნა.

საჭიროა, მომზადდეს ტყის რესურსების ეფექტიანი მართვის სამოქმედო გეგმა (რომელიც ტყის რეკრეაციული მიზნით გამოყენებისა და მისი დაცვის საკითხებსაც უნდა მოიცავდეს).

საჭიროა ტყეების მდგომარეობის, დეგრადაციის ხარისხის და მისი გამომწვევი მიზეზების (ბუნებრივი და ანთროპოგენური ფაქტორები) შეფასება და მის საფუძველზე ხარისხის გასაუმჯობესებლად ღონისძიებების (რეაბილიტაცია, ადაპტაცია) დასახვა და განხორციელება.

იქ, სადაც ტყის რესურსი მწირია და ენერგორესურსი ნაკლებია, უნდა მოხდეს მიზნობრივი პლანტაციების გაშენება და გაშენებული ნარგაობის მრავალწლიანი მოვლა; ამასთან, პლანტაციების გაშენება არ უნდა უქმნიდეს საფრთხეს ადგილობრივ ბიომრავალფეროვნებას და სოფლის მეურნეობას (სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, საძოვრები).

წყლის რესურსების ეფექტიანი მართვის უზრუნველყოფა

იმ რეგიონებში, სადაც მდინარეები მნიშვნელოვანი ენერგორესურსია, ამ რესურსის ეფექტიანად მოხმარებისათვის უნდა მომზადდეს შესაბამისი სამოქმედო გეგმები (მაგ., რეგიონის უზრუნველყოფა დამატებითი მცირე ან საშუალო ჰესებით იქ, სადაც წყლის რესურსი ჭარბადაა), რომლებიც რეგიონის განვითარების სტრატეგიის ნაწილი იქნება.

რეგიონებში, სადაც წყალდიდობების რისკი მაღალია (განსაკუთრებით, დასახლებულ პუნქტებთან ან საკომუნიკაციო საშუალებებთან), ხელისუფლების შესაბამისი ორგანოების მიერ უნდა მოეწყოს ადრეული გაფრთხილების სისტემები და განხორციელდეს პრევენციული სამუშაოები.

ჩამონადენის შემცირების შემთხვევაში, რამაც შეიძლება სერიოზული გავლენა მოახდინოს სოფლის მეურნეობაზე, ენერგომომარაგებასა და მოსახლეობის სასმელი წყლით უზრუნველყოფაზე, ადგილობრივი ხელისუფლების მიერ უნდა მომზადდეს ადგილობრივი წყლის რესურსის ეფექტიანად მოხმარების სამოქმედო გეგმა, როგორც თვითმმართველი ერთეულის განვითარების გეგმის ნაწილი; ადგილობრივ დონეზე ასევე უნდა მოხდეს ალტერნატიული წყლის რესურსების იდენტიფიცირება (მიწისქვეშა წყლები; წყალუხვობის პერიოდში წყალსაცავები წყლის მარაგის შესაქმნელად და ა.შ).

ტრანსსასაზღვრო მდინარეების შემთხვევაში მდინარეების სააუზო მართვის საკითხი აქტიურად უნდა იქნეს განხილული. ამ ტიპის მართვის ცალკეული ელემენტები ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში უნდა მომზადდეს და მოხდეს მათი პილოტირება. ამ პროცესში პირველი ნაბიჯი, როგორც წესი, ერთობლივი მონიტორინგის სისტემის შექმნაა.

საჭიროა, შემუშავდეს მდინარის დაბინძურების შემთხვევების მუდმივი მონიტორინგის სისტემა, გამკაცრდეს სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე ნახმარი წყლების გამწმენდი ნაგებობების მშენებლობასა და ექსპლოატაციის მოთხოვნები, ისევე როგორც მათი მონიტორინგი.

განახლებადი ენერგორესურსის (ჰიდრორესურსი, ქარი, შეშა, მზე, ბიომასა, ბიოგაზი, გეოთერმული რესურსი) განვითარების ხელშეწყობა

ელექტროენერგეტიკის სექტორში მაქსიმალურად უნდა იქნეს ათვისებული ქარის ენერგეტიკული პოტენციალი.

იქ, სადაც თბორესურსი ძალიან მწირია ან საერთოდ არ არის, უნდა გამოიძებნოს ეფექტური გზები ამ რესურსის განვითარებისა და იმპორტისათვის.

ბიომასის და ბიოგაზის სექტორების განვითარება, მზის ენერგეტიკის მაქსიმალური გამოყენება პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს იქ, სადაც ეს ეკონომიკურად მომგებიანია; გრძელვადიან პერსპექტივაში განახლებადი ენერგორესურსის განვითარება იმ თვითმმართველ ერთეულებშიც უნდა მოხდეს, სადაც ეს ეკონომიკურად ნაკლებად მომგებიანია.

იქ, სადაც თბორესურსი ძალიან მწირია ან საერთოდ არ არის, უნდა გამოიძებნოს ეფექტური გზები ამ რესურსის განვითარებისა და იმპორტისათვის. ბიომასის და ბიოგაზის სექტორების განვითარება, მზის ენერგეტიკის მაქსიმალური გამოყენება პირველ ეტაპზე უნდა მოხდეს იქ, სადაც ეს ეკონომიკურად მომგებიანია; გრძელვადიან პერსპექტივაში განახლებადი ენერგორესურსის განვითარება იმ თვითმმართველ ერთეულებშიც უნდა მოხდეს, სადაც ეს ეკონომიკურად ნაკლებად მომგებიანია.

თავი 3. საერთაშორისო რეიტინგების გავლენა საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაზე საქართველოში

3.1 საერთაშორისო ბიზნესის გარემო

ბიზნესის გარემოს განსაზღვრავს სხვადასხვა ფაქტორები, რომლებიც მოქმედებენ ყოველდღიურად მის ფუნქციონირებასა და მიმდინარე პროცესებზე. საერთაშორისო ბიზნესისითვის გარემოს შესწავლა და შეფასება ძალიან მნიშველოვანია, რადგან მისი გაანალიზება და განსაზღვრა დიდ გავლენას ახდენს საერთაშორისო ბიზნესის განითარებაზე.

არსებობს ორი პირდაპირი და არაპირდაპირი გარემო. პირდაპირი ზემოქმედების გარემოში განიხილება ის ფატორები, რომლებიც უშუალოდ მოქმედებენ ტრანსნაციონალურ ორგანიზაციებზე, ესენი შეიძლება იყოს: მიმწოდებლები, მომხმარებლები, კონკურენტები, სახელმწიფო და მის მიერ შქმნილი კანონები და რეგულაციები.

არაპირდაპირი ზემოქმედები გარემო პირდაპირისგან განსხვავებით მყისიერად არ ახდენს გავლენას საწარმოს მიმდინარე პროცესებზე, თუმცა მათი ზეგავლენაც, რა თქმა უნდა გასათვალისწინებელი და მნიშვნელოვანია. ამ უკანასკნელს კი მიეკუთვნება მეცნიერულ-ტექნოლოგიური წინსვლები, ეოკონომიკური

მდგომარეობა, მიმდინარე პოლიტიკური პროცესები და მსოფლიოს ქვეყნებში მიმდნარე პროცესები.

საერთაშორისო ბიზნესის ბაზრზე უამრავი გარემო პირობები ახდენს გავლენას, თუმცა ჯერ პირველრიგში, რომ ვთქვათ საერთაშორისო ბიზნესის ბაზარს მოიცავს ცალკეული ქვეყნებიდან გამომდინარე, საერთაშირუსო სარბიელზე წარმოდგენილი ტრანსნაციონალური კომპანიები, რომლებიც პოზიციონირებენ საზღვრებს მიღმა და სწორედ ესაა ამ მიმართულების მთავარი მამოძრავებელი ძალა, მისთვის არ არსებობს საზღვრები, იგი აერთიანებს მთელს მსოფლიოს. (ერქომაიშვილი & ერქომაიშვილი, ნარმანია, გრიგალაშვილი, 2011 უნივერსალი)

არსებობს ბიზეს გარემოს ოთხი დონე:

მიკრო დონე (ბიზნესის შიგა გარემო), მეზოდონე (საბაზრო ლოკალური გარემო), მაკროდონე (საერთოეროვნული საბაზრო გარემო) და მეგადონე (საერთაშორისო საბაზრო გარემო).

მიკრო გარემო შედის შიგა ურთიერთობები ბიზნეს სუბიექტებთან, ეომლებიც საჭირონი არიან სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის, ესენი შეიძლება იყოს: ინვესტორები, ბანკები და სხვადასხვა სახის ფინანსური ინსტიტუტევი

მეზოგარემოში ერთიანდება ბიზნეს სუბიექტის ფუნქციონირებისათის საჭირო ფაქტორები და პირობები, რომლებიც გავლენას ახდენენ მის მდგომარეობაზე, ასეთები შეიძება იყოს: ეკონომიკური გარემო, წესები, შეზღუდვები, ტექნოლოგიური გეოგრაფილუი და სხვა.

მაკროგარემო წინა ორი გარემოსგან განსხვავებით, შედარებით უფრო დიდ გავლენას ახდენს ბიზნეს სუბიექტის ფუნქციონირებაზე. აქ ერთიანდება ეკონომიკის მდგრდობა, ინფრასტრუქტურის განვითარება, აქვე შედის ქვეყანათა და რეგიონთა შორის კავშირები, რომლებიც პირდაპრ გავლენას ახდენენ მასზე, რეგიონში შექმნილი არახელსაყრელი სიტუაცია, მასში განვითარებულმა არახელსაყრელმა ბიზნესგარემომ, პოლიტიკურმა და ეკონომიკურმა პროცესებამ მნიშვნელოვნად შეიძლება დააზარალოს ამავე რეგიონში მოქმედი კომპანია, რომელზეც ასევე

მნიშვნელოვნად მოქმედებს, გეოგრაფიული და პოლიტიკური გარემო. მაგალითად უკრაინაში განვითარებულმა მოვლენებმა, რა დროსაც ქვეყნის უდიდესი ნაწილი იყო დესტაბილიზებული და მიმდინარეობდა გამოსვლები ისევე, როგორც თურქეთში, მნიშვნელოვანი ზარალი მოუტანა მთლიანად რეგიონს, მნიშვნელოვნად შეამცირა ეკონომიკური პროცესებისგანვითარება.

მეგაგარემო მოიცავს მსოფლიო ბაზარს მის მიერ გამოვლენილ ზეგავლენებსა და ფაქტორებს და მასში გაერთიანებულ ირიბი ზემოქმედების ფაქტორებს:

საერთაშორისო შეთანხმებები, საერთაშორისო ხელშეკრულებები, ქვეყნებს შორის შთანხმებები. საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც დაარეგულირონ მსოფლიო ბაზარი და საერთაშორისო ბიზნესი ამ უკანასკნელებს მიეკუთვნებათ: მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდისაერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია და სხვა. (ერქომაიშვილი & ერქომაიშვილი, ნარმანია, გრიგალაშვილი, საერთაშორისო ბიზნესი, 2011)

საერთაშორისო ბიზნეს გარემოს შესასწავლად იყენებენ სხვადასხვა სახის ფუნქციურ ასპექტებს:

- საერთაშორისო ბიზნესის სამართლებრივი გარემო
- ბიზნესის პოლიტიკური გარემო
- ეკონომიკური გარემო
- ტექნოლოგიური გარემო
- კულტურუ, ეთიკური და სოციალური გარემო
- ბუნებრივი გარემო

საერთაშორისო ბიზნესის ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბიზნესის სამართლებრივი გარემო, რომელშიც ერთდროულად იგულისხმება, როგორც საკუთარი ქვეყნის, ასევე იმის სადაც პოზიციონირებს და საერთაშორისო სამართლებრივი გარემო.

ბუნებრივია ყველა ქვეყანს განსხვავებული სამართლებრივი გარემო აქვს რაც თავის მხრივ ართულებს ფუნქციონირებას. მაგალითად ქრთამის აღება

განვითარებულ ქვეყნებში ისჯება კანონით ხოლო განვითარებადი ქვეყნების დიდ ნაწილი სადა ჯერ კიდევ ჭარბობს კორუფცია ეს ჩვეულებრივი მოვლენაა და საჭიროც კია, რადგან სხვანაირად ვერ შეძლებს ინვესტორი სასურველი ინვესტირების განხორციელებას იქმდ ვიდრე არ მოისყიდის იქ მყოფ მაღალჩნოსნებს, რმლებიც ლობირებენ მიმდინარე პროცესებს. თუმცა საერთაშორისო სამათალი დიდ როლს თამაშობს, საერთაშორისო ბიზნესის ფუნქციონირებაში და შეიძლება ითქას მის გარეშე, ფაქტიურად წარმოუდგენელია ფუნქციონირება, იგი არეგულირებს ურთიერთობებს სახელმწიფოებს შორის: საქონლის, წარმოების ფაქტორებისა და კაპიტალის გადაადგილების საკითხებში.

საერთაშორისო ბიზნესზე მოქმედ ასპექტებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია პოლიტიკური გარემო, რომლის მიხედვითაც კომპანიები ახდენენ ქვეყნების შეფასება, სადაც ისინი აპირებს ბიზნესის წამოწყებას, რა თქმა უნდა ეს პროცესი ვითარდება იქამდე ვიდრე ინვესტიციის განთავსება მოხდება, რადგან პოლიტკური სტაბილურობა ძალიან მნიშვნელოვანია, პროცესების სწრაფად და ჯანსაღად განვითარებისთვის, რადგან იგი პირდაპირ მოქმედებს კომპანიაზე და არასსტაბილური პოლიტიკური გარემოს ფონზე შეიძლება შეეზღუდოს ინესტორს ბევრი უფლება, მათ შორის ხელი შეეშალოს მის საქმიანობას, დაიწყოს მის, როგორც არსასაურველი ინვესტორის ,,დევნა'', შეეზღუდოს რესურსებზე წვდომა, შეიძლება გაზარდოს გადასახადები და იმორტზე დაედოს სპეციალური გადასახდელი ბაჟი, რაც მის ფინანსურ დანაკარგებს გაზრდის.

თუმცა პოლიტიკურმა ცვლილებებმა შეიძლება მოიტანოს ინვესტორისთვის სასარგებლო გარემოპირობებიც, ეს მაშინ თუ გაიზრდება მოთხოვნა უცხოურ კაპიტალზე, რადგან ხშირად უცხოური ვალუტის შემოდინება იმდენად საჭიროა ქვეყნისთვის, რომ არ ხდება სხვა პოლიტიკური ჯგუფების შეხედულებების გათვალისწინება.

იმისათვის რომ ინვესტორმა სწორად განსაზღვროს პოლიტიკური რისკები იყენებს რისკების შეფასების სისტემატური ანალიზის პროცედურას, რომელიც იყოფა სამ კატეგორიად:

- საკუთრების დაკარგვის რისკი, როდესაც კომპანიამ შეიძლება დაკარგოს თავისი საკუთრება კონფიკაციის შედეგად
- ოპერაციული რისკი, როდესაც კომპანიის მიმდინარე საქმიანობას ან მის მუშაკებს საფრთხე ემუქრება მიმღები ქვეყნის კანონებში, გარემოს დაცვის ნორმებსა და საგადასახადო კოდექსში ცვლილებების გამო, ასევე ტერორიზმის და აჯანყებების გამო.
- ტრანსფერტული რისკი, როდესაც მთავრობა ზღუდავს კომპანიის შესაძლებლობებს გადარიცხოს ფულადი სახსრები ქვეყანაში და მის ფარგლებს გარეთ(ერქომაიშვილი & ერქომაიშვილი, ნარმანია, გრიგალაშვილი, საერთაშორისო ბიზნესი, 2011).

საერთაშორისო ბიზნესისზე ზემოქმედებს ეკონომიკური გარემო, რომლსაც აუცილებლად აკვირდება ინვესტორი იქმდე ვიდრე ინვესტირებას განახორციელებს, პირველს რიგში რა თქმა უნდა სწავლობს იმ ქვეყნის გარემოს სადაც სურს მას წამოიწყოს საქმიანობა, რამდენად სტანილურია იგი, ამასთან აუცილებლად აკვირდება მის გამჭვირვალობასა და დამოუკიდებლობას, იმას თუ რამდენადა თავისუფალი იგი ისეთი ფაქტორებისგან, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს მის განვითარებას, ამის შემდეგ სწავლობს ზოგადად რეგიონს და მისი გნვითარების შესაძლო ეტეაპებს განიხილავს, რამდენადაც მიმზიდველი და სტაბილუი იქნება, აღნიშნული გარემო, მეტად მონდომებით და სწრაფად დაიწყებს საქმის წარმოებას ინვესტორი.

მოგეხსენებათ სწორედ ტექნოლოგიების განვითარებამ შეუწყო ხელი საერთაშორისო ბიზნესის განვითარებას და ამიტომ მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ამ ფაქტორ, სწორედ მასზეა დამოკიდებული ბიზნესის წარმატება.

ტექნოლოგიური გარემოს მაღალ დონეზე ფუნქციონირება უზრუნველყოფს ახალი სახის მომსახურებისა და პროდუქციის დანერგვა, მათ მოდიფიცირებას და რეალიზებას მსოფლიოში, სწორედ ამიტომ ხშირ შემთხვევაში განვითარებად ქვეყნებში ინვესტირებისგან თავს იკავებს ინვესტორი, რადგან არ არის განვითარებული შესაბამის დონეზე ტექნოლოგიები და მისი დანახარჯები ამ პრობლემის მოსაგვარებლად დიდი მსშტაბებს მიარწვეს, რისი გარისკვაც ხშირ შემთხვევაში უადგილოდ მიაჩნიათ.

საერთაშორისო ბიზნესში ჩართული კომპანებისთვის მნიშვნელოვანია, კულტურულ, ეთიკური და სოციალური გარემოს შეფასება, რადგან ხშირ შემთხვევაში კულტურა და სოციალური პასუხისმგებლობა განსაზღვრავს მის ქცევას და დამოკიდებულებას ბიზნესზე.

კულტურა არის საზოგადოებაში მიღებული წეს-ჩვეულებების და ღირებულებების ერთობლლიობა, რომელიც დიდ გავლენას ახდენს ნებისმიერ ადამიანზე და მის მოქმედებაზე, ეს კი მნიშვნელოვანია ბიზნეს პროცესების განხორციელების დროს.

ქვეყნის სოციალურკულტურული სისტემა მოიცავს: განათლებას, ჯანდაცვას, დემოგრაფიას, საქმეს, ცხოვრების წესსა და გარვეულ შემთხვევებში ცხოვრების დონესაც. მეცნიერთა აზრით სწორედ კულტურათაშორისი განსხვავებები წარმოადგენს ხშირ შემთხვევაში წარუმატებლობის მთავარ მიზეზს.

ბუნებრივი გარემო ასევე უმნიშვნელოანესი ასპექტია დანატჩენ ჩამოთვლითან ერთად, ბუნებრივი გარემო თავისი რესურსებით იზიდავს ან აშინებს ინვესტორს, რადგან მან იცის თუ გადაწყვეტს, რომ საქმიანობა წამოიყოს რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში, მოუწევს მის ბუნებრივ გარემოს შეერწყას. მაგალითად არაბეთი თავისი ბუნებრივი რესურსებით, რომელშიც შედის ნავთობის უდიდესი მარაგები, ყველა ინვესტორს იზიდავს.

3.2 საქართველო და საერთაშორისო ბიზნესი

ბიზნეს საქმიანობა შეიძლება ჩაითვალოს საერთაშორისო ბიზნესად მაშინ, როდესაც სამუშაო პროცესები მიმდინარეობს ორ ან ორზე მეტ სახელმწიფოს შორის. ამის მარტივი მაგალითია, ქვეყნებს შორის სხვადასხვა ბუნებრივი რესურსებით, მატერიალური და არამატერიალური საქონლით ვაჭრობა. ამ პროცესში მონაწილე მხარეები შეიძლება იყვნენ: სახელმწიფოები, იურიდიული და ფიზიკური პირები, სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო კომპანიები. საერთაშორისუო ბიზნესი არსებითად მნიშვნელოვანწილად განსხვავდება ქვეყნის შიგნით წარმოებული ბიზნეს პროცესებისგან, სადაც მხოლოდ მიმდინარე საკანონმდებლო სისტემას და ბაზარს უნდა მოერგოს ბიზნესმენი, განსხვავებით საერთაშრისო მასშტაბებისგან, სადაც შემოდის განსხვავებული ვალუტები, რომლებთან მიმართებაშიც უნდა მოხდეს ნაწარმოები პროდუქციისა და მომსახუების გაანგარიშება, ასევე მნიშვნელოვანია საკანონმდებლო სისტემა, როდესაც საკუთარი ქვეყნის ფარგლებს ცდები ძალაუნებურად გიწევს შენს სამოქმედო არეალში გავრცელებული კანონმდებლობის მიღება და მასთან შეთავსება, რაც არც ისე მარტივია. ხშირად დიდ დისკომფორტს და დაძაბულობასაც კი იწვევს განსხვავებული კულტურა, რელიგია, რომლებიც ასე ჭარბადაა აღნიშნულ პროცესებში.

მოჭარბებულმა ბუნებრივმა რესურსებმა, ნაწარმოებმა პროდუქციამ და მომსახურება, ერთგვარი ბიძგი მისცა ბიზნესს განვითარებულიყო და საზღვრებს მიღმა გასულიყო, არა მარტო ამან, ქვეყნებს რომლებსაც დიდი პოტენციალი ჰქონდა წარმოებაში, მაგრამ არ გააჩნდათ საკმარის ბუნებრივი რესურსი, სჭირდებოდათ მარაგების შევსება, რადგან შემდგომში შეუფერხებლად ეწარმოებინათ, აქედან გამომდინარე XXI საუკუნის უდავო მაგალითია იაპონია, რომელსაც საერთოდ არ გააჩნია ფოლადის საწარმოებელი ბუნებრივი მადანი, თუმცა დღეს მსოფლიოში იგი ამ მიმართულებით წარმოებაში ლიდერია, სწორედ მსგავსმა პროცესებმა გააჩინა საჭიროება წარმოქნილიყო საერთასორისო ბიზნესი, როგორც ახალი მოდერნიზებული და უფრო მრავალ შესაძლებლობიანი პლათფორმა, სადაც ყველა

შეძლებდა თავისი წილი სიკეთის მიღებას. საერთაორისო ბიზნესი გვევლინება აკავშირებს, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკის.

საერთაშორისო ბიზნესს თან ახლავს ეკონომიკური გლობალიზაცია, რომლის დროსაც მიმდინარე პროცესებში სულ უფროდაუფრო მეტი ქვეყანა ერთვება, ამ ყველაფერს კი თავის მხრივ, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი შედეგები ახლავს თან.

ეკონომიკური გლობალიზაციის პირობებში, სულ უფრო მეტად ხდება ისეთი განვითარებული ქვეყნების ზეგავლენის გაძლიერება, როგორებიცაა; ამეიკა, იაპონია ევროკავშირის ქვეყნები, მათი პოლიტიკური-ეკონომიკური და კულტურული ნაწილების მუდმივი შერევა ეროვნულ ეკომოიკასა და წარმოებასთან, რაც თავსი მხრივ მნიშვნელოვნად აზიანებს ადგილობრივ წარმოებასა და საზოგადოებას, ასუსტებს მათ სუვერენიტეტს, ხდება კულტურათა აღრევა, რაც თავის მხრივ იწვევს სერიოზულ გაღიზიანებას ადგილობრივი საზოგადოების, ისინი ზომაზე მეტად ხდებიან შიდა პროცესებში ჩართულები და ამ ყველაფრის საწინააღმდეგოდ ქვეყანა ვერაფერს აკეთებს, რადგან ძალაუნებურად უწევს მოცემული რეალობის მიღება და პროცესებში ღრმა ჩართულობა, რადგან ექმნებათ მოლოდინით იმისა, რომ სამომავლოდ ეს გაერთიანებები შეძლებენ და მათი განვითარების პროცეს დააჩქარებენ.

აღნიშნულმა პროცესებმა უკვე მიიღო მსოფლიო მასშტაბური სახე, სადაც თითქმის ყველა ქვეყანაა ჩართული, მათ შორის კი უდაო ლიდერებად გვევლინებიან: ჩრდილოეთ ამერიკის ევროპისა და აზიის წყნარი ოკიანის ქვეყნები, სწორედ ისინი იღებენ ყველაზე დიდ სარგებელს მიმდინარ პროცესებიდან.

უდაოა ის ფაქტიც, რომ ეს პროცესი ერთგვარი ჯაჭვური რიაქციის მატარებელია, რაც უფრო საშიშს ხდის მას, განვითარებადი და პატარა ქვეყნებითვის, რომლებსაც მუდმივად შიში აქვთ კრიზისული სიტუაციების, რომლებიც შეიძლება საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ლიდერი ქვეყნებისგან, რაღაც დოზით გავრცელდეს, რასაც მათმა ეკონომიკამ შეიძლება ვერც კი გაუძლოს. საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ

სწორედ გლობლიზაციის პირობებში, უამრავი სამუშაო ძალის გადინება მოხდა საზღვრებს მიღმა, რომლებსაც სკუთარ ქვეყანაში შესბამის ანაზღაურებას ვერ სთავაზობენ, რაც დიდი დანაკარგია ნებისმიერი სახლმწიფოსთვის.

ზემოთ აღნიშნულ უარყოფით ფაქტორებთან ერთად, საერთაშორისო ბიზნეს და გლობალიზაციას მასში მონაწილე ქვეყნებისთვის ბევრი დადებითი ეფექტის მოტანაც შეუძლია, მათ შორის ეძლევათ ახალ ტექნოლოგიებზე წვდომა, უადვილდებათ საერთაშორისო ბაზრებზე შეღწევა, სადაც შეუძლიათ ყველა სახის პროდუქციის და მომსახურების გაყიდვა, რომლეთა სრულყოფის საშუალებას იძლევა, ის ალიანსები და კომპანიები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული აღნშნულ პროცესებში.

საერთაშორისო ბიზნესი მიუხედავად თავისი უარყოფითი შედეგებისა მნიშვნელოვან როლს თამაშობს განვითარებადი ქვეყნების განვითარებაში, მათ შორის საქართველოს შემთხვევაშიც. თუ ჩვენმა ქვეყანამ სწორი მიმართულება დაიჭირა შეძლებს მსოფლიოს პროცესების გაფართოების ფონზე, გაზარდოს სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა, შეამციროს სიღაიბის დონე და უმუშევრობა, გაზარდოს დაფინასება განათლების სფეროს გასავითარებლად, აამოქმედოს ახალი და აპრობირებული რეფორმები. ამიტომ ადეკვატური ჩართულობა ამ მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სახელმწიფოს შეუძლია მიმდინრე პროცესები გამოიყენოს თავის საკეთილდღეოდ, კერძოდ განავითაროს და გადააიარაღოს თავისი წარმოება და საწარმოები, მიაღწიოს არნახული ტემპით წარმოებას, გავიდეს საერთაშორისო ბაზრებზე, სადაც ბევრად მეტ მოგებას დააფიქსირებს, მიიღებს პარტნიორებისგან ცოდნა და გამოცდილება, რომელმაც უზრუნველყო დღეს მათი სიძლიერე. საერთაშორისო ბიზნესის დახმარებით შეუძლია მიაღწიოს ეროვნული პროდუქციის სტანდარტიზაციას და სერთიფიცირებას.

ჩვენი ქვეყნის შემთხვევაში საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების მიხედვით ეკონომიკური უსაფრთხოების დონე დასაშვებ ზღვარზე დაბალია, რაც აუცილებელს ხდის, რომ მთავრობამ შეიმუშაოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია, რომელმაც უნდა

უზრუნველყოს, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის გარეთ წარმოქმნილი საფრთხეების განეიტრალება. მიმდინარე პროცესები ცხადყოფს, რომ ამ მხრივ ძალიან ბევრია სამუშაო, რადგან არ არის სტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემო, რაც თავის მხრივ ზრდის რისკებს და ართულებს ინტეგრაციას საერთაშორისო ბიზნესში, ამას ემატება ქვეყანაში წლების განმავლობაში მოუგვარებული ეთნო-კომფლიქტები და ეკომომიკური სიდუხჭირე, რომელიც სამწუხაროდ ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება დღემდე, ყველაფერს კი ისიცე ემატება, რომ ქვენის 20 პროცენტი ოკუპირებული და მცოცავი ოკუპაცია ყოველდღიურ რეჟიმში აქტიურად მოქმედებს, რომელიც სერთაშორისო გამოწმევად რჩება რუსეთის მხრიდან, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი არ ერიდება ქვეყნის მსვლელობის პროცესებში უხეშ ჩარევებს და ყოველ დღიურად თავს გვახსენებს თავისი სანქციებით და მუქარით , რაც თვაის მხრივ უდიდეს რისკფაქტორად რჩება, ეს კი თავის მხრივ მნიშვნელოვან წილად უშლის ხელს ქვეყანას საერთაშორისო ბიზნესში ინტეგრირებას.

ჩვენი ქვეყანა შეიძლება ითქვას მოუმზადებელი შეხვდა საერთაშორისო ბიზნესში ჩართვას, რამაც უარყოფითი შედეგები გამოიწვია. ქვეყნის მოსახლების დიდი ნაწილი, რომლებიც ჩართული იყვნენ სამუშაო ძალით ეკონომიკურ პროცესებში, დატოვეს ქვეყანა და თავისი შესაძლებლობების გაყიდვა დაიწყეს ქვეყნის ფარგლებს გარეთ თუმცა მათ მიერ გადმორიცხული თანხები ჯერ კიდევ მნიშვნელოვანად აძლიერებს ეკონომიკას და ეროვნულ ვალუტას.

1990 წლიდან 2008 წლის ჩათვლით ქვეყნიდან წასულმა სამუშაო ძალამ 1 მილიონ ადამიანს გადააჭარბა, რაც კატასტროფული მაჩვენებელია 4 მილიონიანი მოსახლეების პირობებში.

თუ გავითავლისწინებთ ქვეყნის გეოპოლიტიკურ მდგომარეობას, ისტორიულ თავისებურებებს და რეგიონში მიმდინარე პროცესებს, ნათლად დავინახავთ, რომ ეკონომიკური უსაფრთხოების რეგრესმა თავის ისტორიულ მაჩვენებელს მიაღწია და ქმნის სავალალო მდგომარეობას, რაც ძალიან საშიშ საშიში შედეგის წინაშე აყენებს

საქართველოს, მისმა მყარმა და ურყევმა პოზიციამ გახდეს ევრო-ატლანტიკური ოჯახის წევრი კიდევ უფრო გაამძაფარ სიტუაცია მეზობელ გიგანტ სახელმწიფოსთან, უდიდესი საშიშროების წინაშე ვდგავართ ეროვნული და ეკონომიკური უსაფრთხოების მხრივ.

საერთაშორისო ბიზნესის ფარგლებში, მსოფლიოს ქვეყნების მიერ შეიქმნა მრავალი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელთა მთავარი მიზანია დაარეგულირონ საერთაშორისო ბიზნესი, რადგან ქვეყნებმა შეუფერხებლა და თავისუფლად შეძლონ ვაჭრობა, ამ პროცესების წასახალისებლა და დასახმარებლად შეიქმნა, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკი და კიდევ მრავალი, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ საფინასო ინსტიტუტი. მათი შექმნის იდიას წარმოადგენს საზღვრების მოხსნა მსოფლიოსთვის და ერთ დიდ ეკონომიკურ ჭრილში განხილვა სადაც ყველას თანაბარი შესაძლებლობა ეძლევა მიაღწიოს წარმატებას, ასეთმა შეთანხმებებმა უზრუნველყო თავსი დროზე ბევრი ხელისშემშლელი ფაქტორების გაუქმება/შესუსტება/შემცირება მათ შორის ერთ-ერთია საბაჟო ტარიფები, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობისთვის უმნიშვნელოვანესი. გამომდინარე აქდან, საერთაშორისო ბიზნესნმა საშუალება მისცა ინვესტორებს, ნებისმიერ წერტილში მდებარე ფინანსური, თუ მატერიალური რესურსი გადაადგილოს, იქ სადაც ამის მოთხოვნა იქნება და გააკეთოს მაქსიმალურად მცირე დროში, რაც თავის მხრივ ეფექტიანობის მაჩვენებელს აორმაგებს და შეიძლება აათმაგებს. (დავით, ქათამაძე, 2009)

3.3 რეიტინგების გავლენა საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაზე

თუ გადავხდეავთ ჩვენინ ქვეყნის სარეიტინგო მდგომარეობას საერთაშორისო სარბილზე , ნათლად დავინახავთ, რომ მთელ რიგ სფეროებში და საკითხებში

საკმაოდ კარგი პოზიციები უკავია, რაც თავსი მხრივ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამომავლოდ მისი განვითარების ეტაპებზე, საერთაშორისო პარტნიორებზე და მათგან მომავალ ,,სიკეთეზე'', ეს ყველათვერი რა თქმა უნდა მოქმედებს საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაზეც, რომლუმაც უკვე მოიცვა მთელი მსოფლიო და იგი გადააქცია ერთ დიდ მსოფლიო ეკონომიკად, სადაც მიმდინარეობს საერთაშორისო ვაჭრობა ყველა მიმართულებით, მრავალ სახელმწიფოს შორის.

საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაზე უამრავი ფაქტორი ახდენს გავლენას, მათი ძირითადი ნაწილი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია უშუალოდ კონკრეტული ქვეყნის ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებზე, რომლებმაც ძირითად შემთხვევაში თავად შექმნეს ეს ბარიერები. პოლიტიკური კურსი და მსოფლიო პროცესებში ჩართულობა, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მსოფლიო სარბიელზე ქვეყნების პოზიციონირების მხრივ. მაგალითად ჩრდილოეთ კორეა არის ქვეყანა, სადაც დიქტატურაა გამეფებული და მოწყვეტილია ცივილიზაციას, რა თქმა უნდა იქ ვერ განვითარდება საერთაშოისო ბიზნესი, რადგან ქვეყანა იმყოფება კოლაფსში, არ თანამშრომობს არავისთან და არ ჰყავს სტრატეგიული პარტნიორები. თითქმის ანალოგიურ მდგომარეობაშია თურქმენეთი, რომელსაც ისეთი ეკონომიკური კურსი და სახელმწიფო პოლიტიკა აქვს, რომ არ სცდება საკუთარი ქვეყნის ფარგლებს, ამ ქვეყნის ეროვნული ვალუტაც კი ვერ ხვდება საზღვრებს გარეთ, თუ მაინც ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა თითქმის შეუძლებელია მისი გადაცვლა, როგორც მომსახურებაზე, ასევე სხვა ვალუტაზე.

უამრავ პროცესთან ერთად საერთაშორიოსო ბიზნესზე გავლენას ახდენს კიდევ რამდენიმე ფაქტორი ესენია; პოლიტიკურ-სამართლებრივი გარემო, ეკონომიკური გარემო, სოციალურ-კულტურული გარემო და საინფორმაციო-ტექნოლოგიური გარემო.

ვიდრე ინვესტორები გადაწყვეტენ ამა თუ იმ ქვეყანასთან საქმიანი ურთიერთობის დამყარებას ისინი აუცილებლად სწავლობენ მათ ეკონომიკურ

გარემოს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს, მიიღონ სწორი გადაწყვეტილება სამომავლო პარტნიორობასთან დაკავშირებით, აღნიშნულის შესასწავლად საჭიროა განისაზღვროს შემდეგი კომპონენტებ : ცხოვრების დონე, ეკონომიკის განვითარების დონე, ვალუტის სტაბილურობა, საგადასახადო სისტემა და სხვა .

პოლიტიკურ სამართლებრივ გარემოში გასათალისწინებელია შემდეგი ფაქტორები რომლებიც დიდ გავლენას ახდენენ საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაზე: სახელმწიფო ბიუროკრატიის დონე, პოლიტიკური სტაბილურობა, უცხოელი ბიზნესმენებისადმი ჩამოყალიბებული მიდგომები და დამოკიდებულებიბი.

რაც შეეხება სოციალურ-კულტურულ გარემოს, გასათვალისწინებელი, რომ განსხვავებული კულტურის ადამიანს, აქვს განსხვავებული მოთხოვნები და განსხვავებულად იქცევიან, ასევე მოითხოვენ განსხვავებულ მოპყრობას მენეჯმენტისგან. ამ ყველაფრის გაცნობის შემდეგ ხელმძღვანელობა ცდილობს შეიმუშაოს ისეთი მიდგომები, რომლებიც ხელს შეუწყობს მათ, მოცემულ კულტურასთან ადაპტაციას. უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება ენის ბარიერი, რადგან დიდია შანსია იმისა, რომ მომხმარებლამდე დამახინჯებით მივიდეს ინფორმაცია.

თავის დროზე საინფორმაციო-ტექნოლოგიების განვითარებამ დიდი როლი ითამაშა საერთაშორისო ბიზნესის ჩამოყალიბებაზე და რა თქმა უნდა საინფორმაციო ბაზების და ახალი ტექნოლოგიების გამოყენების გარეშე შეუძლებელია ასეთი გლობალური პროცესების მართვა და არა მარტო საერთაშორისო ბიზნესის, ცალკეული ბიზნეს ერთეულების, რომლებიც სამამულო მრეწველობაში არიან ჩართულები.

მსოფლიო რეიტინგები ეს არის ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია, სადაც ზემოთ აღნიშნული ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესის განვითარებაზე აკუმულირდება და აისახება შესაბამის შეფასებებში ქვეყნების მიხედვით, ამ მოცემულობას აუცილებლად ითვალისწინებს საერთაშორისო კომპანიები და ორგანიზაციები, რომლებსაც სურთ ამა თუ იმ ქვეყანასთან საერთაშორისო დონეზე

ჩაერთონ ვაჭრობა-წარმოებაში. ქვეყანას რომელსაც აღნიშნულ რეიტინგებში ექნება ცუდი მაჩვენებელი, რა თქმა უნდა ეს ფაქტი უარყოფით გავლენას იქონიებს ყველა იმ პოტენციურ საერთასორისო პარტნიორზე, რომელსაც სურს გაზარდოს თავისი მოქმედების არეალი.

ქვემოთ დიაგრამა N 10 - ზე მოცემულია მსოფლიო რეიტინგები, ბიზნესის კეთების სიმარტივის მიხედვით, 2019 წლის მონაცემებით, რომელსაც აქვეყნებს Doing Business. აღნიშნული დაკავებული ადგილები თავის მხრივ ნიშნავს, რომ ეს სახელმწიფოები მიმზიდველია საერთაშორისო ბიზნეს საქმიანობის საწარმოებლად.

3.4 საქართველო და საერთაშორისო რეიტინგები

ყველა ქვეყანა ცდილობს გახდეს უკეთესი ვიდრე იყო როდესმე, რაც თავის თავში გულისხმობს მუდმივად ზრდაზე და განვითარებაზე ორიენტირებას, განსაკუთრებით დღევანდელი მსოფლიო მოცემულობის ფონზე, მაშინ როდესაც ბევრმა ქვეყანამ განვითარების პიკს მიაღწია და უკვე სრულიად სხვა დონეზე გადავიდა.

საქართველოს მთავრობამაც თავის მხრივ არაერთი სიტემური რეფორმა გაატარა, 2003 წლიდან იგი ტოპ რეფორმატორია, ქვეყანაში 50 ზე მეტი რეფორმა გატარდა, როგორც ინვესტიციური ასევე მარეგულირებრის მხრივ. შემდგომაც დიდი წინსვლებია მთელ რიგ საკითხებში, მათ შორის ბიზნესის კეთების, ადამიანის უფლებების დაცვის, კორუფციასთან ბრძოლის საკითხებში, რომლებიც დღის წესრიგში დგას საერთაშორისო ასპარეზზე, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი და სასიხარულოა, ქვეყანა მუდმივად პროგრესირებს, და ცდილობს მაქსიმალურად მიერგოს დასავლურ და ცივილიზებულ სტანდარტებს, რომელთაც ასე დიდი

მნიშვნელობა აქვს. აცნობიერებს რა მის მნიშვნელობას ცდილობს ფეხი აუწყოს გამოწვევებს, რადგან ამაზეა დამოკიდებული სამომავლო ურთიერთობა ინვესტორებთან და იმ სტრატეგიულ პარტნიორებთან, რომელთა გარეშეც ქვეყანას განვითარება ძალიან გაუჭირდება. ყველასთვის მარტივად გასაგებია, თუ ქვეყანაში არ იქნება მოწოდების სიმაღლეზ ის ძირითადი ინსტიტუტები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ქვეყნოს განვითარება და სტაბილიზაცია გრძელვადიან პერიოდში, ყოველგვარი მხარდაჭერის გარეშე დარჩება. სწორედ ამ პროცესებში ჩართულობა ქმნის საერთაშორისო რეიტინგებს, რომლის არეალშიც ექცევა თითქმის ყველა ქვეყანა, აღნიშნული მოცემულობების მიხედვით, სახელმწიფოებს ენიჭებათ შესაბამისი ადგილები და ქულები, რაც განაპირობებს შემდგომში, მათი კონკურენტუნარიანობისა და მიმზიდველობის გარკვეულ წინაპირობას.

დიაგრამა N4



წყარო: საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო - http://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/doing_business_2019_17_12_geo.pdf

დიაგრამა N4 - ზემოცემულია 2006 წლიდან 2019 წლი ჩათვლით საქართველოში განხორციელებული რეფორმები სხვადასხვა დარგების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ყველაზე მეტი რეფორმა გატარებულია ბიზნესის დაწყების გასამარტივებლად, რაც პოტენციურ ინვესტორებს, გზას უთავისუფლებს და აძლევს ერთგვარ სტიმულ საქმიანობის დასაწყებად, მნიშვნელოვანი რეფორმები გატარდა მშენებლობის ნებართვების გაცემის მიმართულებით რამაც ინფრასტრუქტურული პროექტების წამოწყებას შეუწყო ხელი და განავითარა ბევრი მიმართულებით, ბევრი რეფორმაა ასევე გატარებული ინვესტორების დასაცავად, რომლებმაც ყოველგვარი შიშისა და შეფერხების გარეშე უნდა განახორციელო იმ მნიშვნელოვანი პროექტების რეალიზება, რომლებიც ქვეყანას უქმნიან, როგორც დამატებთ სამუშაო ადგილებს ასევე მნიშვნელოვან ეკონომიკურ სიკეთეს.

მსოფლიო რეიტინგების მინიჭებასა და ჩამოყალიბებაში, დიდ როლს თამაშობენ, საერთაშორისო ინსტიტუტები: მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, არასამთავრობო ორგანიზაციები და კიდევ ბევრი სხვა, რომელთაგანაც მიღებული დადებითი შეფასება ძალიან მნიშვნელოვანია შემდგომში წარმატების მისაღწევად.

მნიშვნელოვანწილად გაუმჯობესდა ჩვენი ქვეყნის მსოფლიო სარეიტინგო მდგომარეობა 2012 წლიდა მოყოლებული 2019 წლის ჩათვლით, რომელთა შეასახებაც მოგახსენებთ.

მსოფლიო ბანკის (WB) მიერ გამოქვეყნებულ რეიტინგში 2019 წელს, საუბარია ,,ბიზნესის კეთებაზე'' სადაც ჩვენმა ქვეყანამ დაიკავა მე-6 ადგილი, მსოფლიოს 190 ქვეყანას შორის, ხოლო სარეიტინგო ქულა 83,28 მიენიჭა, ამ მაჩვენებლით საქართველომ გადაასწრო ისეთ ლიდერ ქვეყნებს, როგორებიცაა; აშშ, ნორვეგია, დიდი ბრიტანეთი.

საერთაშორისო გამჭვირვალობის მიერ, თავის ანგარიშში საქართველოს ,,კორუფციის აღქმის ინდექსში'' 2019 წელს 180 ქვეყანას შორის მიენიჭა 41-ე ადგილი, სარეიტინგო ქულა კი 58, რაც შეეხება ცენტრალურ აზიას და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებს აქ პირველ ადგილზეა.

Fraser institute – ის მიერ 2018 წელს გამოქვეყნებული შემაჯამებელი დასკვნის თანახმად, საქართველომ მე-7 ადგილზეა მსოფლიოს 162 ქვეყანას შორის ,,მსოფლიო ეკონომიკური თავისუფლების'' თვალსაზრისით, მან მოაგროვა 8,02 სარეიტინგო ქულა.

Heritage Foundation 2019 წელს თავის კვლევაში მოაქცია მსოფლიოს 180 ქვეყანა. კვლევა ეხებოდა ,,ეკონომიკური თავისუფლების იდექსს'', აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველომ დაიკავა მე-16 ადგილი და 75,9 სარეიტინგო ქულა, როგორც ერთ-ერთმა სახელმწიფომ მსოფლიოს მასშტაბთ, ხოლო რეგიონში სადაც 44 ქვეყანაა წარმოდგენილი განხილული მე-8 ადგილზე.

მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის (WJP) მიხედვით, საქართველო 41-ე ადგილზეა მსოფლიოს 126 ქვეყანას შორის ,,კანონის უზენაესობის ინდექსი 2019'' - ის მიხედვით, მისი სარეიტინგო ქულა 0,61 -ია.

მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა (WEF) 2018 წელს გამოაქვეყნა ანგარიში ,,გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსთან" დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც საქართველომ მსოფლიოს 140 ქვეყანას შორის დაიკავა 66-ე ადგილი 60,9 სარეიტინგო ქულით. ორგანიზებული კრიმინალთან ბრძოლის კომპონენტში კი 24 -ე ადგილი.

საქართელომ 102 ქვეყანას შორის მე-5 ადგილი დაიკავა 82 სარეიტინგო ქულით, ბიუჯეტის საერთასორისო პარტნიორობის (IBP) ,,ღია ბიუჯეტის ინდექსსში''.

ევროპის პალატამ 2019 წელს გამოაქვეყნა რეიტინგები, რომელიც ეხებოდა ,,ევროპის საუკეთესო ქვეყნები ბიზნესისითვის'', რომლის მიხედვითაც საქართველომ 46 ქვეყანას შორის დაიკავა მე-16 ადგილი 71 სარეიტინგო ქულით.

2018 წელს Bertelsmann Stiftung - მა გამოაქვეყნა ანგარიში რომლის მიხედვითაც საქართველო 129 ქვეყანას შორის 42 -ე ადგილს იკავებს, დამოუკიდებელი სასამართლოს კომპონენტში 21-ე, სამოქალაქო უფლებების დაცვა 24-ე პოზიცია. აქვე განვრტავ Bertelsmann Stiftug აანალიზებს და აფასებს ქვეყანას მისი განვითარებისა და გარდაქმნის კუთხით.

2018 წელს მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა გამოაქვეყნა ანგარიში სადაც ნაჩვენებია ,,ინკლუზიური განვითარების ინდექსი,, განხილულ იყო სულ 103 ქვეყანა აქედან 74 განვითარებად, სადაც ჩვენი ქვეყანაც მოხვდა, მონაცემებიდან გამომდინარე საქართველო იმყოფება 32 ადგილზე 3,99 სარეიტინგო ქულით.

ინკლუზიური განვითარების ინდექსი განიხილავს ქვეყანაში; ინსტიტუტების განვითარებას, ცხოვრების ხარისხსა და მოსახლეობას შორის უთანასწორობას, რომელიც გამოწვეულია რესურესბის არათანაბარი გადანაწილებით.

2019 წელს ორგანიზაციამ ჟურნალისტები საზღვრებს გარეშე გამოაქვეყნა ანგარიში, რომელშიც განხილული იყო მსოფლიო 180 ქვეყანა, მათ შორის 60 - ე ადგლიზე გავიდა საქართველო ,,მსოფლიო პრესის თვისუფლების ინდექსის'' მიხედვით.

რეგულაციების ეფექტიანობის მხრივ, საქართველომ ბოლო ათწლეულში დიდ წარმატებას მიაღწია და 2018 წლის მონაცემებით 51-ე ადგილს იკავებს მსოფლიოში, ეს ყველაფერი აღნიშნულია ,,გლობაური კონკურენტუნარიანობის ინდექსი 2018'' -ში.

2018 წელს Fraser Institute- ის ,,მსოფლიო ეკონომიკურმა თავისუფლების'' მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში, რომელიც შეეხებოდა საკუთრების უფლების დაცვას საქართველომ 48 - ე ადგილი დაიკავა (საქართველო მსოფლიო რეიტინგებში, 2012-2019)

მნიშვნელოვანი წინსვლებია ბიზნესის კეთების სიმარტივს მხრივ, რომელიც თავის მხრივ აუმჯობესებს ბიზნეს გარემოს, ამ პროგრესს მსოფლიო ბანკიც აღნიშნავს თავის ანგარიშში. მან 2019 წელს გამოაყვნეა სახელდობრ ,,ბიზნესის კეთება'' მოცემული ინფორმაციიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, საქართელო თითქმის

ყვეალა მიმართულებით დაწინაურდა, მათ შორის: ბიზნესის დაწყების მხრივ გადმოინაცვლა მე-2 პოზიციაზე, გადასახადების გადახდის მიმართულებთ მე-16, ვაჭრობა საზღვრებს მიღმა 43-ე ადგილზეა. (საქართველო მსოფლიო რეიტინგებში, 2012-2019)

მოცემული რეტინგებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, საქართველო ყოველწლიურად პროგრესირებს მრავალი მიმართულებით და აქვს აშკარა პოტენციალი იმისა, რომ გახდეს ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანათაგანი, სადაც ინვესტორები განახორციელებემ დიდ ინვესტიციებ, რომელიც ორივე მხარეს მოუტანს სასურველ შედეგს. განვითარდება საერთაშორისო ბიზნესი, და მრავალი ტრანსნაციონალური ორგანიზაცია გადაწყვეტს თავისი მოქმედების არეალი კიდევ უფრო გაზარდოს, სადაც ჩართული იქნება ჩვენი ქვეყანა, ისე როგორც ერთ-ერთი სასურველი ატმოსფეროს მქონე სახელმწიფო, რომელთან თანამშრომლობის სურვილიც ექნება ბევრ პარტნიორს, მის მიერ გადადგმული სწორი ნაბიჯებისა და მიღწეული წარმატებების გამო.

დასკვნა

უკვე შეგვიძლია შევაჯამოთ ნაშრომში განხილული საკითხები და გავაანალიზოთ მოცემული ინფორმაცია.

ნაშრომის პირველ თავში განვიხილე ინვესტიციების ნაკადებზე მოქმედი დეტერმინანტები. ინვესტორის გადაწყვეტილებაზე გავლენას ახდენს, ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ქვენყნის ეკონომიკრი და პოლიტიკური სტაბილურობა, რამდენად ღია და ლიბერალური პოლიტკის გამტარებელია, საგადასახადო სისტემა, სამუშაო ძალის პროფესიონალიზმი და ანაზღაურება. მნიშვნელოვანი საკითხია ასევე ინვესტიციების საერთაშორისო გადაადგილება, რომლის ზრდა განსაკუთრებით XX საუკუნის ბოლოს დაფიქსირდა. ინვესტიციის მიმღები ქვეყნების ძირითადი ნაწილი კი განვითარებადი ქვეყნები იყვნენ.

მეორე ნაწილში განხილულია საქართველოს საინვესტიცო გარემო და საინვესტიციო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ქვეყანს მოწინავე პოზიციები უკავია ბიზნესის კეთების სიმარტივის მხრივ, მსოფლიო ბანკის მიერ გამოქვეყნებულ ანგარიშში 2019 წლის მონაცემებით 190 ქვეყანას შორის მე-6 ადგილი დაიკავა ,,ბიზნესისი სიმარტივის'' მიმართულებით, ხოლო ,,მსოფლიო ეკონომიკის თავისუფლების'' რეიტინგში მე-7 ადგილი უკავუა, რაც შეეხება საინვესტიციო გარემოს ამ მხრივაც უამრავი რეფორმაა გატარებული, მნიშვნელოვნად არის შემცირებული

გადასახადები და გამარტივებულია ბიზნესის დაწყება, ამ მიმართულებითაც ერთ-ერთ ლიდერ სახელმწიფოდ გვევლინება რეგიონში.

მესამე ნაწილში განხილულია საერთაშორისო რეიტინგების გავლენა საერთაშორისო ბიზნესის განვითარებაზე საქართველოში. საერთაშორისო რეიტინგების გავლენა დიდია სამომავლოდ ინვესტორების თანამშრომლობაზე ჩვენს ქვეყანასთან, რომლებიც თავის მხივ საერთაშორისო ბიზნეს საქმიანობას ეწევიან, მათთვის რეიტინგები არის ინფორმაციული ერთ-ერთი წყარო, საიდანაც იღებენ მნიშვნელოვან შეტყობინებას, რომელ ქვეყანასთან შეიძლება თანამშრომლობა ამ მიმართულებით, რა თქმა უნდა საქართველოს სარეიტინგო მდგომარეობა იძლევა საშუალებას ითანამშრომლონ მასთან სამომავლო მოგების მიღების პერსპექტივით.

სწორედ მიმზიდველმა საინვესტიციო გარემომ და მოქნილმა პოლიტიკამ უზრუნველყო საქართველოს გამოყვანა იმ საშინელი პერიოდიდან, როდესაც ქვეყანაში სრული ქაოსი იყო, არ მუშაობდა არც ერთი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, ფუნქციონირება ჰქონდა შეწყვეტილი მთლიანად ბიზნეს, გამეფებული იყო კორუფცია და კრიმინალი . 2003 წლიდან მოყოლებული სახელმწიფომ ამ მიმართულებით 50-ზე მეტი რეფორმა გაატარა, რამაც შედეგად მოგვცა დიდი რაოდენობით მოზიდული უცხოური ინვესტიციები, რომლებიც განთავსდა სხვადასხვა მიმართულებით მათ შორის პრიორიტეტული დარგებია: სასტუმრო და რესტორნები, დამამუშავებელი მრეწველობა, ენერგეტიკა, მშენებლობა, საფინანსო სექტორი და სხვა. სწორედ ამ პერიოდში განვითარდა ინფრასტრუქტურა ყველაზე კარგად, აშენდა უამრავი სასტუმრო, განახლდა და მთლიანად შეიცვალა ავტომაგისტრალები, დაფიქსირდა მნიშვნელოვნი ეკონომიკური ზრდები, გაიზარდა მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა და რაც ყველაზე მთავარია, საქართელო გამოჩნდა მსოფლიო ასპარეზზე, გაიცნო მსოფლიოს ქვეყანებმა, მათ შორის ისეთი გიგანტი სახელმწიიფო, როგორიცაა აშშ ჩამოყალიბდა მის ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ სტრატეგიულ პარტნიორად. სწორი მიდგომების ხარჯზე დღეს უკვე საქართველოს შეუძლია მიიღოს სარგებელი ღრმა

და ყოვლის მომცველი შეთანხმებიდან, რომელიც კიდევ უფრო მეტად შეუწყობს ხელს ქვეყნის განვითარებას.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნული დადებითი ეფექტებისა, რომელიც მომდინარეობს ქვეყნის მიერ, სწორი არჩეული ეკონომიკური და პოლიტიკური კურსისა, აუცილებელია რომ არ ავღნიშნო, საქართველოში სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მაჩვენებლების მიხედვით ეკონომიკური უსაფრთხოების დონე დასაშვებ ზღვარზე დაბალია, რაც აუცილებელს ხდის, რომ მთავრობამ შეიმუშაოს ეკონომიკური უსაფრთხოების სტრატეგია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, როგორც ქვეყნის შიგნით ასევე მის გარეთ წარმოქმნილი საფრთხეების განეიტრალება.

მიმდინარე პროცესები ცხადყოფს, რომ ამ მიმართულებით სამუშაო ძალიან ბევრია, რადგან არ არის სტაბილური პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემო, რაც თავის მხრივ ზრდის რისკებს და ართულებს ინტეგრაციას საერთაშორისო ბიზნესში, ამას ემატება ქვეყანაში წლების განმავლობაში მოუგვარებული ეთნო-კომფლიქტები და ეკომომიკური სიდუხჭირე, რომელიც სამწუხაროდ ქვეყნის ერთ-ერთ ყველაზე დიდ გამოწვევად რჩება დღემდე. ყველაფერს კი ისიც ემატება, რომ ქვენის 20 პროცენტი ოკუპირებული და მცოცავი ოკუპაცია ყოველდღიურ რეჟიმში აქტიურად მოქმედებს, რომელიც სერთაშორისო გამონმევად რჩება რუსეთის მხრიდან, ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი არ ერიდება ქვეყნის მსვლელობის პროცესებში უხეშ ჩარევებს და ყოველ დღიურად თავს გვახსენებს თავისი სანქციებით და მუქარით , რაც თვაის მხრივ უდიდეს რისკფაქტორად რჩება, ეს კი მნიშვნელოვან წილად უშლის ხელს ქვეყანას განვითარდეს, შეინარჩუნოს სტაბილურობა, ინტეგრირდეს საერთაშორისო ბიზნესში და მოიზიდოს უცხოური ინვესტიციები.

გამოყენებული ლიტერატურა

1) გამომცემლობა ,,უნივერსალი'' თბილის 2011 საერთაშორისო ბიზნესი

2) დავით ქათამაძე, გამომცემლობა ,,უნივერსალი'' თბილისი 2009

3) ნინო ჟვანია, საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა 2006

4) თეიმურაზ შენგელია, საერთაშორისო ბიზნესი - უნივერსალი 2011

5) რევაზ ვაჩნაძე, გიორგი თურქია, ბიზნესის საფუძვლები - 2011

6) თეიმურაზ შენგელია, ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები - თბილისი 2008

7) ევგენი ბარათაშვილი, ნინო ბაკაშვილი, ნინო ფარესაშვილი, ბადრი გეჩბაია, დარეჯან მესხიშვილი, თანამედროვე ბიზნეს სტრატეგიები - უნივერსალი 2011

8) გიორგი შუბლაძე, მანანა ნანიტაშვილი, ბიზნესის საფუძვლები - უნივერსალი 2011

9) კახაბერ ციმინტია, ეკონომიკის სახელმწიფოებრივი რეგულირება - უნივერსალი 2009

10) დემნა კვარაცხელია, საქართველოს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები - უნივერსალი 2008

11) თეა კასრაძე, საინვესტიციო გარემო საქართველოში და ქვეყნის შიდა საინვესტიციო პოტენციალი, ჟურნალი ეკონომისტი, #5, 2014

12) თეა კასრაძე, განვითარებადი ქვეყნების მთავრობების მიერ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად გამოყენებული ძირითადი პოლიტიკები, ჟურნალი "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მაცნე", #6, 2014

13) თეა კასრაძე, ოფიციალური ფინანსური ნაკადები - განვითარების დაფინანსების მნიშვნელოვანი წყარო , საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის: ''ეკონომიკისა და ეკონომიკური მეცნიერების განვითარების თანამედროვე ტენდენციები'' შრომების კრებული, გვ.380- 387 თსუ

14) Tea Kasradze, Nino Zarnadze, Challenges of Economic of Georgia: Good and Bad Economic Growth; European Journal of Economics and Business Studies 2019

15) Tea Kasradze, Trends of Financing for Development in Georgia; American Scientific Journal, Pg. 32, № (21) / 2018 Vol.1,

16) საქართველოს ფინანსთა სამინისტრო https://mof.ge/

17) საქართველოს სტატისტიკისეროვნული სამსახური https://www.geostat.ge/ka

18) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, http://www.economy.ge/

19) საქართველოს ეროვნულ ბანკი https://www.nbg.gov.ge/index.php?m=2

20) https://forbes.ge/news/2115/ramdenad-warmatebulad-izidavs-saqarTvelo-ucxour-investiciebs

21) http://www.parliament.ge/uploads/other/30/30066.doc

22) https://www.econstor.eu/bitstream/10419/2797/1/352635657.pdf

23) http://documents.worldbank.org/curated/en/135691468329945983/pdf/337690REVISED0GEORGIAN0led1primer1geo.pdf

24) The Global Competitiveness Report 2011-2012, World Economic Forum